კაქა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეჯრისელი

# კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეწრისელი

# კოლხური ფსალმუნები

ტომი 24

2020

მთ. რედაქტორი **ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ“, 2020

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 0186, Ა. ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-831-1 (24 ტომი)

* * *

**ვაჟა ეგრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტ-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა" „ვარძიის", „აიას" აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების" (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ეგრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების" ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა" გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები"-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ეგრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აგრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების" 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ეგრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა",
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – გილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

## პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „ბაჯაღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნეების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

**გულნაზ ხარაიშვილი**
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

**ა. პუშკინი**

## წინასიტყვაობის მაგიერ

*გაგრძელება*

პოეზია მართლაც რომ საოცარი მეტაფორებით გაიკაშკაშებს ხოლმე ამ სტრიქონებში. „ვარსკვლავების ძვირფასი თაიგულით“ – იგრძნობა უნივერსალური ძალა სიყვარულისა. სიყვარულისა, რომელიც არასდროს არ კვდება. მარადიულია, მუდმივად იწვის და ანათებს. წვა და ნათება კი ყველაზე დიდი საოცრებაა!

სატრფოსადმი სიყვარულის გასაცხადებლად ვაჟა ეგრისელი ასეთ ფერწერულ სურათს ხატავს:

„თვალში ჩავცქერი მიუსაფარ
და ლამაზ სურვილს,
უსიყვარულოდ ფრთამოკეცილს
და წელში მოხრილს,

რომელსაც შენში უშფოთველად სძინავს,
ნუ გეშინია,
შენი გულის პატარა ქოხში
სიყვარული, –
ნაკვერჩხალივით დაიდებს ბინას“.

*

„შენი თვალების ოკეანიდან –
ბევრჯერ მოუშვი მე მდუღარე
ცრემლის ონკანი,
და დამავიწყდა: უსუსური, შენ რომ ხარ ქალი.
ჩვენი ლამაზი სიყვარული –
ეს მე მოვკალი,
შენ არაფერში „არ გიდევს ბრალი“.

ამ სტრიქონებში აშკარად შეიგრძნობა ვაჟა ეგრისელის სატრფიალო ლირიკის თავისთავადი და გამორჩეული ხასიათი.

„ღამეა ისევ, ზღვასთან გახსენე,
და მთვარის შუქზე
ნაზად გავხსენი
მოგონებებით სავსე
ლუსკუმა,
შენი სხეული ზღვად
აბრწყინდა

როგორც ტიარა,
და სული წამით მას ეზიარა,
მერე ყოველი
დავიწყების შთანთქა
უფსკრულმა“.

აქ სულის დუღილი, ფორიაქია. ლირიკული გმირის სიყვარულითაა გაბრწყინებული სახე. „შენი სხეული ზღვად აბრწყინდა“ – ამ სიტყვებში ისევ სიყვარულის მძლეთამძლეობის, დიდების მარადიული ჰიმნი იკითხება. ზღვა და სიყვარული პოეტისათვის ჩემი ღრმა რწმენით ერთი წრეა, მრავალი წახნაგია ერთ ფოკუსში თავმოყრილი და ფინალურ აკორდად განჟღავნებული აზრი-არსებობის მარად გაუხუნარი გრძნობა სიყვარულისა, რომელიც მუდამ გვახსენებს: „საყვარელნო გვიყვარდეს ერთმანეთი, ვინაიდან სიყვარული ღმერთისაგან არს და ყველა, ვისაც უყვარს, ღმერთისაგან შობილია და იცნობს ღმერთს (ეპისტოლენი იაკობისა. თავი IV. 7).

## უცხო ჰანგები

მწერალი ალექსანდრე ბოლქვაძე წერს: „ზის პოეტის სიცოცხლის ბაღში და სიყვარულის მარადიულობას გალობს, გალობს აქამდე არსმენილი ხმით. ეს ხმა ქართველ მკითხველს ჯერ არ გაუთავისებია, არ შეუსისხლხორცებია, რადგან შეჩვეულია შედარებით უფრო ადვილად აღსაქმელ ჰანგებს, რომელსაც არ სჭირდება გონების დაძაბვა, „ტვინის ჭყლეტა“, ხოლო ვაჟა ეგრისელის ხმის სირთულეს, მის ლირიკის ფილოსოფიურ სიღრმეს გონების თვალით უნდა ჩაწვდე, ისე ზერელედ თვალის გადავლებით მისი უკიდეგანო სიდიადის აღქმა ყოვლად შეუძლებელია“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის გაცნობისთანავე ვრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომ წყვდიადი უძლურია ნათელთან. პოეტი ისწრაფვის სინათლისაკენ და ხმალამოღებული მიაპობს ბნელეთს. ეგრისელის პოეზია სინათლეა, ცისკარია, განთიადია, რომელიც ადამიანს სითბოთი და სიკეთით ავსებს და რაოდენ სასიხარულო და აღმტაცია ის, რომ მის შემოქმედებაში როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერია, როგორც გულწარმტაცი კეთილი, იმიტომ, რომ ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისათვის“.

„როცა შეწყვეტენ მნათობები
უხმო ხეტებას,
როცა წვეთ-წვეთად ღამის ქვაბში
დილა გროვდება
და სიჩუმეში როცა ინათებს,
მაშინ მე ვხედავ ჩემს სამშობლოს –
მთებს –
გოლიათებს –
მხრებზე თანდათან ზეცა როგორ უვიწროვდებათ“.

ვაჟა ეგრისელი კოსმიური სივრცის ბინადარია, კოსმიურ სივრცეში ისე შედის, როგორც საკუთარ ჭიშკარში და ერთ წუთითაც ეჭვი არ გეპარება იმაში, რომ იგი ამ სივრცის მკვიდრია. მზე და მთვარე მისი უშუალო მეზობლებია. ცის კარი მისი ჭიშკარია. პოეტმა მთელი არსებით შეიმეცნა სამყაროს უსასრულობა და მარადიულობა, ცხადად გრძნობს, რომ ღვთის მადლიანი კალთა გადმობერტყილა მასზე და უფალი მთელი არსებით დგას მის არსებაში, რომელიც დღეს თუ ხვალ უკვდავებას შერთავს. ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უფალი მარადისობის გვირგვინია:

„მზე ტორებს სცემდა აღმოსავლეთით
და მზის ჭიხვინი მოისმოდა ფაფარაშლილი,
ვარსკვლავთა ჯიღა –

დედამიწას ედგა გვირგვინად,
როს ცა გაიხსნა,
და უფალმა გადამიფრინა –
მარადისობის ფრთების შრიალით“.

პოეტი განცვიფრებულია წმინდა ღამეთა იდუმალებით, ხედავს ელვით თუ როგორ იკემსება ცა. მზე დედამიწას ისევ ისე უვლის, ვითარც უვლიდა, რომ უხსოვარ დროში ისევ ისე სხედან მწყემსები და იღერებენ ყელს ლამაზი სალამურიდან. პოეტისათვის ლოცვა მარადიული რწმენის მომნიჭებელია და აჰა, პოეტიც წარსულის მზიან ბილიკებზე ლოცვით მიიკვლევს და ქართლის ცაზე კვლავაც ელანდება „იესოს კვართი“, „შურდული“ და „ქნარი დავითის“...

„...მდიდარია ქართული პოეზია თავისი ცადატყორცნილი მთებითა და მწვერვალებით, მდინარეებითა და ჩანჩქერებით...

დღეს, ვიცით, რომ მწვერვალთა შორის არის ერთი თვალშეუდგამი, სრულიად გამორჩეული პოეზიის მწვერვალი, რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია“...

*ჯემალ ჯინჯიხაძე*
პროფესორი, პოეტი.

წმინდა ნათელით ელვარებს ვაჟა ეგრისელის პოეზია. სულის ნათლით გამოირჩევა იგი როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი. პოეტი ამჩნევს დაფარულს.

აზრი ეძებს საკუთარ ბილიკს. მშობლიური ცისა და მიწის ალერსში სიცოცხლის ნათელს, მზეს, ვარსკვლავებსა და ცის ყვავილებს. თავად პოეტი ნათელია სვეტის, რომელსაც ეზმანება:

„ბაღში კვირტების დგას ჟრიამული,
მოდის აპრილი ყვავილებით,
ვითარცა თამთა,
ელავს მყინვარი –
ბროლის ყელი
ჩემი მამულის.
და... საქართველო ზაფხულ და ზამთარ
დგას მსუბუქ ბოლში
ია-იების".

ვაჟა ეგრისელმა თითქოს ზღაპრულ სკივრს ახადა თავი და თავის თანამედროვეებს პოეტური ჟრუანტელით გვაგრძნობინა საქართველოს სიდიადე, სიცოცხლის სილამაზე, მისი განუმეორებლობა. ზემოთმოყვანილ სტროფში გაცხადებულია ჩვენი რწმენაც და სარწმუნოებაც. მისი უჭკნობი სიყვარული თავისუფლებისადმი, ამაყი და შემართული სული, მისი რწმენა ადამიანის გულისა და გონების ძლევამოსილებისამი, მის კარმიდამოში მარად შრიალებს ჭაბუკური მზე გაზაფხულისა, ჰყვავიან ვარსკვლავები და იღიმის უფალი – არსთა განმრიგე... და მაინც:

„დაცლილ ყანწს ჰგავს
მდინარეთა ნაკვალევი,
არ სჩანს მთვარე,
არც მთელი და არც ნალევი.
შორს მთებს მიღმა ურთაა და დარჩელია,
და შავი ზღვა, ვით ფიალა დასალევი,
თვითონ ზღვის ღმერთს, –
პოსეიდონს დარჩენია“.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ვგრძნობთ, რომ პოეტს ლურჯი ზეცა უბრწყინავს თვალებში. თითოეული სტრიქონებიდან გამოკრთის სინედლე უსაზღვროის, სჯერა და სწამს ბუნების საოცრება: რომ „შავი ზღვა ვით ფიალა დასალევი“ პოსეიდონის, ზღვის ღმერთის საკუთრებაა. პოეტს სული და გული გაუღია მზის შუქისათვის და მთელი არსებით ჩაზრდილა მშობლიური მიწის წიაღში:

„მე არსად წავალ, ქართულ მიწას მე
ვერ დავაგდებ... ანაბარა ათასოხერთა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გახსნილია იდუმალი სივრცე, განცდა სიცოცხლის აღმოცენებისა. ესოდენ დიდი სიხარული რომ ახლავს თან და პოეტი ყოველთვის იხრება სინათლისა და კონკრეტულობისა-

კენ. ამ გზის დაგვირგვინებად მესახება ლექსი „ქვევრში ათასწლეული ხმიანებს“:

„შრიალებს ვენახი-ურიცხვი,
ვენახი – ქართველის სიძლიერე.
ქვევრში დის სიცოცხლის მდინარე,
დუღს დარდი...
ცრემლი და ვაება...
ქვევრში ათასწლეული ხმიანებს:
ქართველი კაცის უკვდავებას!“ –

ამ სტრიქონებით ვაჟა ეგრისელმა საუკუნეებს გააგონა ქართველი კაცის სიძლიერე. ქართველი ერის უკვდავების საგალობელი.

არაერთხელ აღვნიშნეთ და აქაც ვიმეორებთ, რომ „იქმენ ნათელი“, მგოსნის საეტაპო წიგნია. ამ თვალსაზრისით პოეტის ერთგვარი კრედოა სტრიქონები, რომლებსაც ახლა ვთავაზობ მკითხველებს:

„ცხოვრება –
          ჩემი მასწავლებელი,
ყოველდღე მიტარებს ორ გაკვეთილს –
სიძულვილის და სიყვარულის.
ძნელია, მაგრამ, ვჯახირობ, ვწვალობ,
პირველს ვერა და
მუდამ ფარულად –
მეორეს ვსწავლობ“.

ეს სტრიქონები თითქმის 40 წლის წინაა დაწერილი. განვლილმა წლებმა მტკიცედ დაგვარწმუნა, რომ ვაჟა ეგრისელი თვითონაც მაღალზნეობრივად დაეუფლა სიყვარულის გაკვეთილს და თავის მრავალრიცხოვან მკითხველსაც, თაყვანისმცემელსაც ასწავლის მას.

ვაჟა ეგრისელს უსაზღვროდ უყვარს სამშობლო. კეთილგონივრულად იღწვის იმისათვის, რომ ასახელოს თავისი ხალხი. სწორედ ასეთი ქართველი მოსწონდა ვაჟა-ფშაველას: „მაშ ვინაა კარგი ქართველი? – ვისაც უყვარს საქართველო და იმის წყლულებს მალამოდ ედება, ვინც მის სარგოს ჰფიქრობს და აკეთებს".

„ერი ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად" – ჩიოდა გრიგოლ ორბელიანი.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" – ათქმევინა ლელთ ღუნიას ილია ჭავჭავაძემ.

„ვინც მამულს თვისას სულსა არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი, – მოძღვრავდა თანამემამულეთ საქართველოს ბულბული აკაკი წერეთელი.

„იყიდება საქართველო!" – გმინავდა ნიკო ლორთქიფანიძე.

„შეიბ მახვილი, შეიბ მახვილი, შეისმინე ჩემი ვედრება – მოგვიწოდებდა შოთა ნიშნიანიძე.

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეტური ხმითა და კალმით სამშობლოს შუაგულში დანთებული კოცო-

ნია, რომელიც თავისაკენ გვიხმობს და ერის გადარჩენისათვის სიფხიზლის ზარებს არისხებს. დიახ, რარიგადაც არ უნდა მოჯარდეს შავი ღრუბლები, რარიგადაც არ უნდა შეცურდეს ცხოვრების ზღვაში, რარიგადაც არ უნდა მოწამლონ მოშურნეებმა პოეტის სული, დროებით გულგაუტეხლობას ყოველთვის თან სდევს მამულისადმი თავგანწირული ერთგულება და სულგაუტეხელი ოპტიმიზმი, რომლითაც დატენილია ვაჟა ეგრისელის პოეზიის მაგისტრალი. ყველგან ვაჟკაცური ხმა გვესმის, რომელშიც სიცოცხლის, კაცურ-კაცობისა და სამშობლოს სიყვარულმა ასე მშვენიერი და ასე ამაღლებული გამოხატულება ჰპოვა:

„მომხდურთ თავები პანტა ვაშლივით
თურმე ცვიოდა
ციხიდან და აკროპოლიდან, –
ქვა დახვედრია აქ, როდესაც სეტყვა
მოვიდა.
მითრიდტეს თუ აიეტის
შტოზე ნამყენი –
კოლხეთის წარსულს მილამპრებიან.
ჩვენ აქ მტვერი რომ
გავაღვიძეთ და ავაყენეთ,
მტვერი კი არა, მამულისათვის –
მტვრად ქცეული წინაპრებია“.

ან:

„აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,
ქართლის ცხოვრება“ –
წარსულს მილამპრებს.
და კოლხურ ღამეს,
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს
წინაპარს,
ტანზე აცვია ვარსკვლავების ჯაჭვის პერანგი“.

ეს ლექსები სამშობლო მიწის სიყვარულით გაბრწყინებული ის მარგალიტებია, რომლებიც „კაცს დაატკბობს აზრითაც და სიტყვებითაც“.

*ილია*

პროფესორი მერი ბადრიაშვილი აღნიშნავს: „დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო ერთნაირი სიდიადით სუნთქავენ ჭეშმარიტი დიდოსტატის – ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში და ასეთივე დიდებულებით ხაზს უსვამენ მისი ავტორის ერთადერთობას.

ვაჟა ეგრისელმა გამორჩეულად შესძლო „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა“ და მასში რუსთაველის მსგავსად სიბრძნის აჟღერება. ვაჟა ეგრისელის პოეტური მემკვიდრეობა სიკეთის და სათნოების, სხვაზე

ზრუნვისა და პატრონობის, სიყვარულისა და მარადის ახლის ფოიერვერკია“.

აქ აუცილებლად მიმაჩნია ვაჟა ეგრისელის შემდეგი ლექსების ციტირება:

„საუკუნეთა მტვრიან საცერში –
დღეები ისევ თეთრად იცრება.
და ვიღაც კივის წარსულიდან
ათასმეშვიდედ:
მოვა სხვა შოთა...
სხვა ერეკლე,
ვაჟა, თამარი...
და ვითარცა მე,
მზის, სიცოცხლის
ლამაზ პეშვიდან,
ალოკავს წუხილს... დარდსა და ცრემლს
ვითარც ქვამარილს.

*

„შურით,
მტრობით, ხმლით და შუბით,
უკლავდნენ გულს, მზეს და იმედს,
ვერ იტევდა მიწის უბე
ცრემლის ზღვას და სისხლის წვიმებს...
თურქმა, სპარსმა, ლეკმა, დიდომ,
მაჰმადმა და მისმა გეშმა,

ჩვენი ცოდვა ზურგზე იდო
და მიჰყიდა სული ეშმაკს.
ჩვენი სისხლიც სვეს და ღვინოც,
მერე...
ყველა ძილად მიწვა.
აწი სვან და ილილინონ,
დააყოლონ შავი მიწა“.
*
„თვალებში ქართლის წარსულს ჩავცქერი,
მესმის ყიჟინა
გმინვა, გნიასი.
ვით საზღაურის მტრისთვის მიგება.
სიკვდილ-სიცოცხლის ჰარმონიაში –
ხმალი საბრძოლოდ ელვასავით მიიდრიკება.
დიდგორის ველზე სისხლთა მნთხეველის –
ქართველები კვლავ დგანან პირველნი
და საქართველო –
მათი წმინდა საკურთხეველი
სავსეა თავით შესაწირველით.
დაღლილი მთები დგანან უძრავად,
ღამით ტანჯული მოლოდინი
წამებს დაითვლის,
და აჰა! ბნელში, ქართლის
მტერთა შესამუსრავად,
მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი“.

საერთოდ ჩვენი სხივნათელი წინაპრებისადმი, კერძოდ კი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ამ სტრიქონების წაკითხვისას, ვფიქრობ, რომ ამ ლირიკული ნაწარმოების დაწერისას შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო ილია ჭავჭავაძის წარუვალი მოსაზრება: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ამბობს ჩვენი ერი. ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფეს. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფის და იქ, როგორც დიდბუნოვანმა კაცმა წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ეს სტრიქონები იმის ჭეშმარიტი ილუსტრაციაა, რომ ვაჟა ეგრისელი წერს არა მარტო ჩვენი ერის, არამედ ყველა დროის და ეპოქის ადამიანებისათვის. ზემოთმოყვანილ სტრიქონებში პოეტმა მოგვცა პიროვნებისა და ისტორიის ახლებური დანახვა. „სიკვდილი“ თავის მატერიალურ გამოხატულებაში არის ყოვლისმომსვრელი ძალა, რომლის წინაშე ერთნაირად უძლური მეფეც და მონაც, მდიდარიც და ღარიბიც. მეფე დავითის ასეთი პლასტიკური სახით წარმოჩენა პოეტის საოცარ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

მოულოდნელობით დატვირთული მეტაფორა – „მოდის სიკვდილი, მეფე დავითი“ – ლექსის მთავარი ჩანაფიქრის გადმოცემაა და საოცარ ესთეტიკურ ფე-

ნომენს ქმნის. თუმცა მას აქვს თავისი საზღვარდება. იგი ანადგურებს ყოველივეს, რაც ხელს უშლის სიცოცხლის მეწყერივით მოვარდნას.

მაღალი მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი ვაჟა ეგრისელის წმინდა ლირიკული ლექსები. მათში შესანიშნავად ჩანს მხატვრული სიტყვის დიდოსტატი. თავისი ძლიერი განცდებითა და ჭეშმარიტი ადამიანური ვნებებით. ეს ლექსები ჩემი ღრმა რწმენით მშვენიერი ეტიუდები უფროა, სადაც მძაფრი ლირიზმით არის გადმოცემული ბუნების მშვენიერების პოეტური განცდა და ადამიანის სულის მოძრაობის ცალკეული მომენტები.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია უდიდესი ვაჟკაცური სული და გმირობის აპოლოგია:

„ეს მერემდენედ,
დავიწყების კართან დაცემულ –
მახვილაპყრობილ ციხი მცველთა
და მესანგრეთა
გადაიქროლა სევდის ღრუბელმა.
და მე მუხლს ვიყრი
ყველა ქართულ
ციხის ნანგრევთან,
ლოდს გულში ვიკრავ და...
სულს ვუბერავ“.

ან:

„ცა იღრუბლება ჩემი წუხილით,
                    ვზივარ ცივ ქვაზე
და არავის არ ველოდები.
არც მეციხოვნეს, აღარც ლაშქარს
                    და არც ქვითხუროს.
მე ახლა მხოლოდ,
მომხდურისგან
                    ნატყორცნ ლოდებით –
ქართლის ავბედით წარსულს ვკითხულობ“.


**ციალა მესხია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.


*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია*
*(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*



## ყუარა და იხინჯა

მთიულმა და ხევსურმა
სახელი მოიხვეჭა,
სამშობლოსთვის
ბრძოლისას,
რადგანაც წინ უძღოდათ:
„ყუარა“[1] და
„იხინჯა“,[2]
„ხახმატი“[3] და „ლომისა“.[4]

1976

1 წარმართული ღვთაება.
2,3,4 ძლიერი ხატები

## გალებს და არხიგალებს

ბორცვზე პალაცინუმის?!
არა,
გალთან,
პონტოს პირას,
ათას ზღვაში ნაგრიგალებს –
ვუხმობ კიბელას ქურუმებს:
გალებსა და არხიგალებს.

1981

## ბროწეულის ყვავილები

სხვას კი არა,
შენ გეკუთვნის –
ეს გული და ეს სიმღერა,
და ეჭვს ნუღარ გაივლებ.
შემოგწირავ, როგორც ჰერას,
ბროწეულის ყვავილებს.

1963

* * *

მწუხარე და ფერმიხდილი
რა უჩუმრად გაიპარა
საუკუნე ასჯერ ათი.
მე,
კვლავ მესმის გულამოსკვნით,
კიბელა, ვით ტირის ატისს.*

1966

---

* ატისი (ბერძნ.) ბუნების ფრიგიული ღვთაება, კიბელას – სატრფო.

* * *

(ვარიანტი)

სილურჯით და სიმაღლით,
ვითარც მგოსანს და
მეგობარს,
საქართველოს ცა შეგშვენის.
სხვებმა თქვან,
თორემ შენ შენი,
ეგრისელობაც გეყოფა.

1991

* * *

ნათელს ყივიან...
        მამლები ცას ტოლს
                არ უდებენ.
კომეტები კი ცეცხლის კუდებით
რბიან მიწისკენ...
        და სინათლის ფრთები ეზრდებათ.
        ოქროს ღამეა...
                ცის ვეება აკვარიუმი
ჩუმად ივსება ოქროს თევზებით.

1972

* * *

სამშობლოსთვის ხატთან მლოცველს,
შენი სიტყვა გულს
ულბობდა,
ისე, ვითა ოქროპირის.
მიდიხარ და...
ცა მოგტირის,
ოლიმპიელს –
ულუმბოდან.

2006

## ჯიქები და უბიხები

მიწისგან აღგვილა
ხალხი –
ვარსკვლავთ სადარი.
და ზღვისკარად არა ჩანს
მათი ოლენჯკანდარი,
არც ნავი,
არც ბაიდა.
ვუხმობ: ჯიქებს,
უბიხებს,
მაგრამ...
ხმა არსაიდან.

1972

## გალაკტიონი – 1959

ხელგაშლით იდგა მამადავითი
და წუხილს რეკდა ზარი
სიონის.
მომეჩვენა თუ ფიქრში დავლანდე:
კუბოთი არა,
ხალხის ზღვაში გალაკტიონი,
მთაწმინდისაკენ მიცურავდა
გემით „დალანდით“.

1959

## გულით ხედავს მგოსანი

მიწიერი ცოდვისთვის,
ჩუმად ამბობს „ოსანას!.“
ცაში დაჭქრის ქუხილად.
გულით ხედავს მგოსანი –
ხილულსა და
უხილავს.

1986

## ხატების ომი

(ილორი, ანჩისხატი)

საქართველოს ხსენება
გამქრალიყო სრულიად, –
სურდა აბასს,
მურვან ყრუს,
ბუღა თურქს და ყარჩიხანს.
დღეს ზარს რეკავს სიონი,
მოწამეთა და ლარჩვა.
და ხატებმაც იომეს:
მადლი ილორს, ანჩისხატს –
საქართველო გადარჩა.

1989

* * *

კოლხეთის,
კოსმიური,
ბრწყინავს სამი კარიბჭე
და გზა „ოქროს საწმისის“,
თავზე სიბრძნეს გასხურებს.
„ვარდის და ჯვრის“ საიდუმლოს,
შენ ხარ ნაზიარები,
და იგავით ბეჭდებს ხსნი
უფლისაგან „ხელდასხმული“.

1982

## იები

მიწის სულად ამოსულებს,
ლოცვით გალურჯებულ იებს,
მინდვრები ღვთის ცას
უკმევენ.
შენ კი ცოდვებს ინანიებ,
მიელტვი ცის –
სასუფეველს.

1998

* * *

მგლების და დევების სამეფოში
დავდივარ უხმლოდ და
უფაროდ.
მიგალობენ ჩიტები, ვით მეტყევეს.
მადლს გწირავ სიკეთისთვის
უფალო,
ვით წმინდა სვიმონ
ღვთისმეტყველი.

1979

* * *

დრო სულს ყოფნით ამარილებს,
უსულოდ კი კაცის ყოფნა,
ამძორდება,
აშმორდება;
მაგრამ უფლის მადლით ცხებულს,
სიხარული არ შორდება.

2001

## სიზმრები

„ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია.“
გალაკტიონი.

„სიზმარი სიზმარში...“
ედგარ პო

„მღვიძარე სიზმარი...“
ფროიდი...“

მეუფობენ სიზმრები:
ამ სოფელს და
იმ სოფელს
და სიზმრებს შუა დრო მიდის..
სიზმრებს ველარ იყოფენ –
დიდი გალაკტიონი,
ედგარ პო და
ფროიდი.

1966

* * *

ლეგენდებში ვეხეტები:
        და როს ვნახავ ნასახლარებს,
        დამედება ფერი იის
და ერთ სიკვდილს ვათავებ.
კოლხო!
        შენი ისტორიის,
        ვერ ვპოულობ სათავეს.

1962

* * *

დამის შავ კალაპოტში,
        უკუთეთრესი დღეები,
        არაგვივით მიდიან...
სიზმარსა და ცხადს შორის,
ბეწვის ციცქნა –
                        ხიდია.

2003

**გადარჩენა**
(ტერენტი გრანელს)

თავისთავს კვლავ დააკვირდა უფალი,
მერე მიწა მოზილა
და როდესაც ცას ვარსკვლავი
დააჩნდა.
„– გადარჩებაა?!“
მიაკივლა ზოზიამ!
ციდან ესმა:
– პოეზია გადარჩა!

1972

* * *

ვით წეროთა მწკრივი,
წლები წლებს კვლავ მისდევს,
ქრის არყოფნის სიო.
მაგრამ შენ, ღვთის შვილო!
ისე, როგორც ქრისტემ,
სიკვდილს უნდა სძლიო.

1975

* * *

ეშმას შეცთომილს,
დრო გქონდა ყულფად,
როდესაც იგრძენ.
მას შემდეგ უფალს,
ვითარც ბატკანს,
სწირავდი სიბრძნეს.

1987

## მცხეთასა და ზედაზენს

მუხლმოყრილნი მლოცველნი,
ცისკენ ხელებს იწვდიდნენ –
მცხეთასა და
ზედაზენს.
და შესთხოვდნენ მზეთამზეს –
სიმაღლეს და
სიწმინდეს.

1969

## მეცხრე ცის
(ვარიანტი)

გალობით...
და ფრთების შრიალით,
გიხმობენ შენ უფლის
მერცხლები,
მაგრამ ფიქრებს რომ გიღრნიდა,
არ გითქვამს მისი,
არც მეცხრედი,
მიგელის ნათელი,
მიღმიდან,
მერვის კი არა, მეცხრე ცის.

1996

## ევროპას, აზიას, ლიბიას

შორეულ მითებში მთვლემარე,
რომ გავაღვიძო წარსული,
მე,
მერგო ეს,
პოეტს იღბლიანს
ვით ჰეროდოტე*, რომ ვწუხდე:
სხვაგან მყოფ ჩემს
კოლხელ ასულებს:
ევროპას,
აზიას,
ლიბიას.

* ჰეროდოტეს – (Vს. ჩვ.წ.აღ.) ერთ დროს სმსოფლიოში სულ სამი კონტინენტი იყო: ევროპა (ყოროფა), აზია და ლიბია. ამ უკანასკნელს დიდიხნის მერე ეწოდა „აფრიკა“.

* * *

მთვარე ათასწლეულებს,
შუბლზე ოქროს ძაფივით
იხვევს,
როგორც იხვევდა,
ხმა არ აკრთობს ქუხილის.
შენი სული კი ხედავს,
უხორცოთ და უხილავთ.

1984

* * *

ქაოსიდან მოსულნი,
როს ცის თაღზე მთლიანად –
ვარსკვლავები შექანდნენ:
შენც გელოდა „ქი-ანა“,*
წუთისოფლის შექმნამდე.

1969

---

* „ქი-ანა“ (მეგრ.) ქი – მიწა, ან ცა -ქვეყანა, სამყარო.

* * *

მოსალოდნელ დიდების
მზით და შიშით ატანილს
(თუკი ცოტაც გაცალეს!)
გულის ჩუმი ფანცქალით
გელის ცანი
ცათანი.

2005

## სეტყვა კახეთში

ღრუბელმა ელვის აწია წარბი,
ცამ შუბლი უცებ შეკრა
ცივად.
წამი და... სეტყვამ ყოველი მოსრა.
სეტყვა კი არა,
ღვთის რისხვა ცვივა...
დღე არის როგორც მეორედ მოსვლა.

1979

## სოფელში

იქუხა მეხმა...
ბაყაყების შეწყდა ყაყანი...
ქრისტედ მეჩვენა გაკრთომა
ელვის.
ცას წასკდა ცრემლი,
ცრემლი არა,
დაიბანა პილატემ ხელი.

1984

* * *

სიკვდილს გამოქცეული,
ქრისტესავით ჯვარცმული,
ტანჯული, ვით იობი.
სისხლის ზღვაში დაცურავს
სული –
კაცობრიობის.

2008

* * *

მელის ქამთა მიღმიდან –
ოქროს ვერძის ბღავილი,
და არაფერს ვამეტებ:
დღე ერთია,
ათასჯერ,
კუნჭულ-კუნჭულ დავივლი –
სფეროებს და
პლანეტებს.

2005

## მზის და მთვარის კალენდარს

სამყაროს კი დღეების,
კვლავ ეზრდება
თმა-წვერი –
შიგნიდან და გარედან.
მე ვზივარ და ვკითხულობ
ვარსკვლავებით დაწერილ
მზის და მთვარის კალენდარს.

1968

* * *

დრო და ჟამისგან გადარაზული,
იდუმალების იღება კარი,
სად დღეები მირბის და
მორბის.
მაცხოვრის მადლით,
სულიწმიდის შენა ხარ
ქნარი,
ცისკენ გეწევა სიმაღლე ორბის.

2001

* * *

ოქროს ნალით დაჭედილი,
ელვა გარბის შორს -
კვიცივით,
და ღრუბლები ჩანან სკებად.
ცა – ვარსკვლავებს
როს იცინის,
დედამიწა შურით სკდება.

1969

## იუდას და ფარისეველს

ვიყავ და ვარ მინდობილი
სიყვარულის ფარს ისევე.
არც მღვდელი ვარ,
არც ვიკარი.
და სათოფედ არ ვიკარებ –
იუდას და
ფარისეველს.

1987

* * *

ცისკენ ხელაპყრობილი,
ისე, როგორც მარდუქი,
ძველებიც და
ახლებიც,
უფლის ტახტს და მადლს უფლის,
კრძალვით მივეახლებით.

1997

* * *

მდუმარ სასაფლაოზე,
ჯვრებს და ყრუ-მუნჯ
ლოდებსაც,
ეშინიათ ზარის ხმის.
ჩვენ კი მონანიების
მადლი,
სამოთხისაკენ –
გადაკეტილ გზას გვიხსნის.

1978

* * *

ვერ ვუღალატებ უფალს!
თუ არ მიმტყუნა გეშმა,
გველაძუობა არ მსურს:
რომ მზე მივყიდო ეშმას,
ავაზაკსა და
ავსულს.

1966

## გოეთეს და ეკერმანს

„...პატივს ვცემთ იმასაც,
რაც ჩვენს ზემოთაა...“
(გოეთეს საუბარი ეკერმანთან)

ელვის ძაფით ცის სულის,
ვეღარ შეძლეს შეკერვა,
გადაექცათ მზე ჭირად.
მაინც თვალი ზეცისკენ,
დღე-ნიადაგ ეჭირათ –
გოეთეს და ეკერმანს.

1970

## არსკვლავების ბილიკებს

სიშორეს და სიმაღლეს
რეკავს ღამის ტაძარი
და მოისმის „ოსანა...“
ვარსკვლავების ბილიკებს
მიუყვება მგოსანი –
ხელში მთვარის ყავარჯნით
და მზის გვირგვინოსანი.

2006

## შაიამა შამაშ-რერა

სვანეთისკენ გზას მივყვები
მთვარის ამარა,
უფსკრულია ალბათ ჩემი
შავი სამარე.
შორს ღრუბელი მოჩანს ბერად:
„შაიამა,
შამაშ*-რერა,
შამა, შამარე!“

1971

* შამაშ – ძველი შუამდინარეთის ღვთაება

* * *

ვერ ამოთხარა ძირიან –
მოდგმა კოლხის და
იბერის
მტერმა და ჟამთა ოხვრამა.
და... ზოგი,
განა სიბერემ,
ადამის ცოდვამ მოთხარა.

1984



## აშრიალდა ცად ნაძვი

ოთხი ათასწლეულის მერე
რწმენა მოდიდდა,
აშრიალდა ცად ნაძვი.
შენც წევრი ხარ ოდიდან
„ვარდის და ჯვრის საძმოს“.

1972

## ხილვა: ლაზარეს აღდგინება

საიდანღაც ლაზარეს,
        ჩუმი სუნთქვა იგრძენ,
        და ჭვრეტ იგავ-მითებში –
ადრე ტაბუ დადებულ
        საიდუმლო სიბრძნეს.

1993

## „გადმოხე ჯვარით“

ჟამი ჟამია,
ვით ახლა,
მაშინ,
ასწლეულები წამივით რბოდა,
ჯვარზე გაკრული გოლგოთის
დარი.
და... წარსულიდან კვლავ მოგესმის
ყაყანი ბრბოთა:
„...ჰე, თუ ღმერთი ხარ,
გადმოხე ჯვარით!“

* * *

მინაწერი წიგნზე – „იქმენ ნათელი!“

„იდიდოს შენი ქართული ფრთები,
ცისა და მიწის თვალსაწიერზე.“
პროფ. ლუარა სორდია.

შენ სულ სხვა ხარ...
ღმერთი ისმენს:
შენს ლოცვას და
შენს ვედრებას.
შენს „ქართულ ფრთებს“ –
ცათა მპყრობელს,
აწ ვერავინ შეედრება.

2005

## მაცხოვარი

არ აძლევდნენ ნავსაყუდარს,
ძრახვიდნენ და
ავად ზაკვეს.
და მაინც სულ მათთან იჯდა.
(მათ გულისთქმას აყურებდა)
მწყემსავდა და აპურებდა
ცრუებსა და ავაზაკებს.

1978

## ისმის მნათთა ყაყანი

ღრუბელმა, როგორც იუდამ,
მთვარეს უნდა სცეს თაყვანი,
მერე მას ჯვარზე აცმევენ.
ისმის მნათთა ყრუ ყაყანი,
ვით ღამეს ქრისტეს
გაცემის.

1978

## ხილვა: კოლხები და ქალდეველები

ჯერ აბრაამის არ ჩანს ფარა,
ოქროსფერი ადევთ ველებს.
მე,
უვალი გზებით დავალ
და ბიბლიის კარიბჭესთან
ვჭვრეტ:
კოლხებს და ქალდეველებს.

1963

**ზედაზნიდან**

სადღაც,
მცხეთის სიახლოვეს,
როცა მთებმა მაღალ
მხრებით,
ცის კიდეზე მზე აზიდა,
მაშინ უცხო მესმა ხმები –
ლოცვად დამდგარ
ზედაზნიდან.

1978

## ორი ხმა

ადამის ძეს ნიადაგ
დასდევს,
ესმის ორი ხმა:
ბოროტის და კეთილის.
ერთერთის ხმა ციხეში,
არის გამოკეტილი.

1988

* * *

„მეტი სინათლე!“
გოეთე

ზის ღამის ტოტზე და ლურჯ
სივრცეებს -
შიშს და სიბნელეს
გაჰკივის ჭოტი,
სამყარო მაინც ლამაზი არი.
ზეცა ჩამოსწევს ვარსკვლავებით
დახუნძლულ ტოტებს,
მეტ მადლს და ნათელს
რომ მაზიაროს.

1989

* * *

დამის მიღმა
და დღის იქით,
გულზე ხელებდაკრეფილი,
სადღაც მთვარე ასვენია.
და მე ციდან რა ხმას ვისმენ,
ქვეყნად არვის
არ მსმენია.

2001

## რაღაც, ენიგმატური

ცაში ვერ ავიტანე
        დედამიწის სიმძიმე!
მიხმობს,
        მელის სატურნი,[1]
მის მიღმა კი ციმციმებს
        რაღაც ენიგმატური.[2]

1964

---

[1] სატურნი (ლათ.) მზის სისტემის დიდი პლანეტა.
[2] ენიგმატური (ბერძნ.) საიდუმლოებით მოცული. გამოუცნობი.

* * *

ვჭვრეტდი ჭეშმარიტებას
და ხელთ მეპყრა მზე ფარად.
ღვთის და ბედის მადლიერს,
„მითქვამს სიტყვა შეფარვით“,
როგორც გრიგოლ ნოსელს და
ფილონ ალექსანდრიელს.

1977

* * *

მოსარკული შენი ცა,
ბევრჯერ ათოვ-
აწვიმეს,
მაგრამ ველარ მოკრუნჩხეს.
და შენც ვერ დაგაწვინეს
სარეცელზე –
პროკრუსტეს.*
1988

---

* პროკრუსტეს სარეცელი (ბერძნ.) მითოლოგიური ყაჩაღი, რომელიც მგზავრებს იტყუებდა და აწვენდა სარეცელზე, ვინ] გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს აჭრიდა, ვინც მოკლე, – ფეხებს უჭიმავდა.

* * *

ხარ ლეგენდიდან მოსული,
ბევრის მომსწრე და
მხილველი –
ამბავის გაუგონარის...
გესმის ხმა –
„ლურჯი ფრინველის“,[1]
ჩხავილი შავი „ყორანის“.[2]

1986

---

[1] „ლურჯი ფრინველი“ – მეტერლინკი
[2] „ყორანი“ – ედგარ ალან პო.

* * *

ცაში სხედან და მთიები,
ტანზე ათასწლეულებს იშრობენ,
თუმც ბოლოს ყოველი
მიწდება.
უფალო!
შენა ხარ სიშორე,
რომელსაც ვერავინ
მიწვდება.

1966

## ლიცენციები

მეოციდან მოსულებს –
მგოსნებს –
ოცდამეერთის,
გზას კვლავ მისცემს ციების:
შენი ტრანსცენდენტური[1]
ლექსის –
ლიცენციები.[2]

2005

[1] ტრანსცენდენტური (ლათ.) – რაც საზღვარს სცილდება.
[2] ლიცენცია (ლათ.) – თავისუფლება.

**ცხოვრება**

ტაში და ფანდური ნუ გგონია,
ცხოვრება ღელვას ჰგავს
ზღვისა.
მოვალთ...
და გაღმა გადავალთ,
ვითარცა მეზობლისას.
თუმცა, გზა შორია,
იტყვიან,
იმ დიდი სულეთისა.

2003

## სამოთხე და ჯოჯოხეთი

გადაშლილა ედემ ბაღი,
აქეთ – მთვარე,
იქით მზეა,
იქვე ლეთე, –
ჯეონს ერთვის.
ვით დღე-ღამე, გვერდ-გვერდზეა
სამოთხე და
ჯოჯოხეთი.

1993

## სანთლის ალი

ფეხისწვერებზე იწევს და იწევს,
    მაღლა უჭირავს მას
                    ცალი თვალი
და აღარ უნდა მიწაზე მოცდა.
შიშით კანკალებს...
            და სანთლის ალი,
სამშობლოს ცისკენ მიიწევს ლოცვად.

1991

* * *

მუდამ სხვათა გამკილავი,
არ მილანძღავს,
არც მიქია,
სარეცხივით მეზობლისას
რომ ეკიდა.
ჯერ სიკეთეც არ მიქნია
და მტრად რატომ
მომეკიდა?!

2008

* * *

წარსულიდან ამოსული,
ეფინება ხეთას,
ურთას,
მთვარე არა,
მზე დილის.
უძლვი პოეზიის გუთანს,
შენ,
ისე, ვით ენ–ლილი.*

2005

---

* ენ–ლილი (შუმ.) – ჰაერისა და სივრცის ღვთაება.

* * *

ის გზა,

სხვა გზაა მეუფის,

წყვდიადი, რომ ფარავს სიშიშვლეს

და ღამით, მთიებს რომ ამუნჯებს –

აღსავლით მავალი –

მზის შიში

და იდუმალება საუნჯის.

1998

* * *

ვარსკვლავებმა ცის ურემს,
მზე და მთვარე შეუბეს,
რომ ხმა ესმათ ზესკვების.[1]
და ვით თარი-არალე,[2]
შენ ხარ მეფეთ-მეუფე,
ზესკნელის და
ქვესკნელის.

2007

[1] ზესკვი (მეგრ.) – შაშვი
[2] თარი-არალე (შუმ.) ღვთაება.

* * *

(ხუმრობით)

სახელოვან პედაგოგს
ქ-ნ ნარგიზ გოგიას

ნარგიზ!
ჩემო ნარგიზავ!
განა ქვეყნად ყოველთვის,
წყალს მოიტანს კოკა?!
მე, სიკვდილი რას მიზამს,
ლექსმა თუ არ მომკლა.

2005

* * *

მიღმა რვა თუ ცხრა ათასწლეულის,
ჩემი წინაპრის მივსდევ
ნაკვალევს:
ყველგან სისხლი და
ყველგან ომი ჩანს...
აი, ამიტომ ძველი წყლული
ჩემი კოლხეთის
მტკივა...
ვერ იქნა, ვეღარ მომირჩა.

1966

* * *

ცას ჩალისფერი ალამი მთვარის –
ხელში უჭირავს
ვარსკვლავის ტარით
და შესციცინებს აღსავლის ნაპირს.
ყინვის ფრჩხილდამძვრალ
თითებით ქარი,
ზღვას კვლავ უვარცხნის
ჭაღარას ქაფის.

1971

* * *

გაჩენის დღიდან ჩვენი ცხოვრება –<br>
ყოფნა-არყოფნის<br>
დიდი ომია<br>
და დღენიადაგ საფლავები ჩუმად<br>
იჭრება.<br>
და იქ ნაპოვნი, თავის ქალა<br>
თქვენ ნუ გგონიათ,<br>
ის სიკვდილია,<br>
ჩვენ დაგვცინის<br>
და იკრიჭება.

1968

* * *

ბილიკზე ორი ათასწლეულის –
საუკუნეებმა გადაირბინეს,
ჟამთა სწრაფ ქროლვას –
რაც მოაწავებს.
მაცხოვარი კი –
მაღალ შუბლზე
ეკლის გვირგვინით,
ისევ დაგვყურებს თვალით მოწამის.

2001

* * *

შორით მოსული ქარის მუცლიდან –
მოულოდნელად
გრიგალი იშვა.
და სანაპირო აშრიალდა,
ვითარცა ლელი.
მერე იქუხა...
და ღრუბლებს შიშით,
კვლავ გაერია ჭაღარა ელვის.

1972

## ქასქებსა და დაიანებს

შორეთიდან მოსულებმა –
კოლხთა დიდმა წინაპრებმა,
კვლავ შორეთში დაივანეს.
და არ ესმით ჩვენი ხმები:
ქასქებსა და
დაიანებს.

1968

## საწმისის და გრაალის

კოლხთა ღვთიურ ისტორიას,
ვით მედეა, ჰეკატეს –
ლურჯ ტაძარში აალებ.
შენ ერთი ფლობ მისტერიას –
საწმისის და
გრაალის.

1971

## თემისკირი და თერმოდონი

წარსულიდან მოსულ ზვირთთა
ისმის ხმაური და
შფოთი,
აქვე,
ახლოს პორტთან ფოთის:
– მათ არ დახვდათ,
რომ დატოვეს –
თემისკირ[1] და
თერმოდონთი.[2]

1964

[1] პრეისტორიული ადგილები ფაზისის (ფოთის) მიდამოებში.

* * *

ვხედავ მძვინვარ ასწლეულებს –
სიძულვილით გადაბელილს.
ნისლში ლანდი
გაიელვებს:
მაღლა ნაჯახ აწეულის,
უსახელო ძმის...
აბელის!

1969

* * *

ფერადი შუშიდან ვუცქერით
ცხოვრებას,
მიტომ ლამაზი მით
გვეჩვენება.
სინამდივლეში ქცეულია იგი
მეწყერად.
ჩვენ კი მივდივართ სვენებ-სვენებით
და არც კი ვიცით,
თუ სიკვდილი სად
დაგვეწევა.

2007

## აინინა, აონი და ანატორი

ცა ღრუბლებით დანისლული,
აზვირთებულ ზღვას
მაგონებს.
დგანან მთები –
ბაყბაყდევთა დანატორი,
მათ მფარველობთ:
„ბადანი“[1] და „ბადაგონი“,[2]
„აინინა“,[3]
„აონი“[4] და „ანატორი.“[5]

1976

[1][2][3][4][5] მთიულეთის წარმართული ღმერთები.

* * *

ვითარც წინაპართა სული,
მაცხოვრის გზას აუყვება
ცისკენ ვაზი.
თუ შენი მზე გაიფურჩქნა,
ისე ახვალ მაღალ მთაზე,
ცეცხლს იხილავ მოგიზგიზეს
მაყვლის ბუჩქთან.

1972



## სამეგრელოს ექვსი დალაშქვრის ათი წლისთავი

„...მადლით ხართ გადარჩენილები,
რწმენის მეშვეობით."
პავლე მოციქული

„..შეიცანით! – ღვთის მადლია!" –
სული,
სხეულს რომ იმრთელებს:
მე მივმართავ ჩემს საყვარელ
სამეგრელოს,
ვითარც პავლე მოციქული
კორინთელებს.

2003

* * *

აღმოსავლეთ –
დასავლეთს,
ზღვიდან – ზღვამდე კოლხეთი –
ერქვა უწინ მთლიანად.
და იმას მფარველობდნენ;
„ხობოსი“[1] და
„თიანა“.[2]

1962

[12] უძველესი კოლხეთის წარმართული ღვთაებები.

* * *

სიხარულის მთა-ველი,
თუკი ჟამმა მონისლა.
მორჩა!
მას ვერ უშველის, –
ღვთის კურთხევა ზირაქის,
სიბრძნე სოლომონისა.

1986

* * *

შორეული წარსულიდან,
კვლავ მოვუხმობ „ოქროს
ვერძებს“.
არც მარე ჩანს და არც რამზეს,
და ვით ნებროთ,[1]
მთას დავეძებ,
„რომლისაგან აღმოვალს მზე“.

1966

[1] ნებროთ – ბაბილონის მშენებელი ბიბლიური გმირი. ნოეს ძე, იაფეტის შვილიშვილი.

* * *

არსთაგამრიგე კვლავ გითვალთვალებს
და ვერ პოულობ
მადლის ნატამალს;
შენში მძვინვარებს შვილი უძღები.
ცით ჩამოსული შენ ხარ სატანა
და, წინ სიკეთეს,
ვით წარუძღვები.

* * *

უნდა ლოცვა-ვედრებით,
ქარიშხალს და
წვიმაში,
გაიარო მაღალი,
„მოწყალების კარიბჭე“,
რომ წარსდგე ღვთის
წინაშე.

1998

## თეთრი ვარდი

ცა – გახლავთ იათა-ქვეყანა
და ასოცირდება უფალთან.
მზე – ოქროს წერტილია
და ცის ბოლოა.
კიბეა – ამარანტის მთა,
თეთრი ვარდი –
სამყაროს შესაქმის
სიმბოლოა.

1981

* * *

ჯერ დედამიწა არ შობილა,
არც გეა[1] ჩანს და
არც იშთარი.[2]
ტაბუდადებული კოლხეთია:
სულიერ – ასტრალური
გვირაბით,
კოსმოსში შესაღწევი გზა-ჭიშკარი.

1972

[1] გეა (ბერძნ.) – მიწის ღვთაება.
[2] იშთარი (აქად.) – ომის და შუღლის ქალღმერთი.

* * *

ლაზარეს კი ისევ სძინავს
და „კოლხეთის მისტერია“
სამყაროში გაფანტული
მითებად და „ნამცეცებად“,
ცად დაფრინავს...
და კოლხეთში,
არ ბრუნდება, არ ეცემა!

1987

* * *

ადამის ძმის მოდგმის ცრემლით
მიწა დალბა,
მაგრამ მოკვდავთ ბედს კი
ვერაფერი ვერ ცვლის,
სიკვდილსა და ჯვარცმას,
მიგვანიშნებს ალბათ,
მეწამული ვარდი და
წითელი კვერცხი.

* * *

რემამ საუკუნეთა –
        ისტორიის მინდვრები
        უცებ გადითარეშეს,
კვალი არ ჩანს აქ მოსვლის.
კოლხურ მისტერიებს კი,
        მწამს „ლაზარეს“* გარეშე,
        ქვეყნად ვერვინ ამოხსნის.

1975

---

* ლაზარე – იგულისხმება საქართველო.

## ხილვა: რეა კიბელა

მითებს და ლეგენდებს
და ათასწლეულებს,
მიდის და მიბელავს.
და ტოვებს ნისლებში –
ფაზისს და მალთაყვას.
და რეა კიბელას –
კოლხეთი, ზღვის კიბით,
ცად აჰყავს.

1972

## ხილვა: სინას მთა

როდესაც ციდან სხივმა იელვა,
„მაყვლის ბუჩქს“
ცეცხლის ალი მოფინა.
შენ იდექ მთაზე...
და არასდროს აღარ ყოფილხარ,
ასე ამაყი და ბედნიერი.

1981

## იდუმალების ეტლით

ფრთებით მზის და
სინათლის,
ვითარცა ღმერთ – მორიგეს,
იდუმალების ეტლით,
„დაბრკოლებათა ქვები“
ჩუმად მოაქვს ორიგენს.*

1982

---

* ორიგენი – ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენელი

## ორი ეროსი

მიწიერი,
ციერი,
ორნივ მაღლა იურვის,
მაგრამ მაინც სულ სხვაა,
დაბლა,
დედამიწელი,
და ეროსი ციური.

2001

* * *

ბადრი, უსუპი, ამირან,
ვერ დაგიშლიან მეფობას,
ამბრი,
უმბრი და არაბნი,
სიცილადაც არ გეყოფა.
დრო –
ბაყბაყდევი ვერ შესძლებს,
შენს ჩაყლაპვას და
ხელყოფას.

2007

* * *

მიღმა ათასწლეულების,
ბნელში „ხსნის მთამ“
გაიელვა,
და სამყაროს წვდა სხვა ალი.
როგორც ნესტან-დარეჯანი
ტარიელმა,
ჩემო,
უნდა გამოიხსნა,
წმიდა თასი გრაალის.

1979

## აეროლითები

ფსალმუნებში ლოცვები,
იშლებიან იებად.
ერთმანეთში ირევა:
ლეგენდები, მითები,
ზღვები, მთები, მთიები
და აეროლითები.*

2001

---

* აეროლითი (ბერძნ.) – ქვის მეტეორიტი.

* * *

შენი ხმა, ვით ორფევსის,
აშრიალებს ვარსკვლავებს,
ვითარც ლერწმის
ღეროებს
და სულს უდგამს უსულო –
პლანეტებს და
სფეროებს.

1984

* * *

აქ იუდებს რა გამოლევს,
ცამეტ ვერცხლად გაგცემენ,
ბოლო გელის საზარელი!!!
თუ შეგიპყრეს ჯვარს გაცმევენ,
ვით იესო
ნაზარეველს.

1994

* * *

გაზაფხულის ქარებმა
მზე ღრუბლებში შეჭედეს!
წავიდა თებერვალი.
წვიმის თითზე ელვარებს –
ცისარტყელას –
ბეჭედი.

1989

* * *

ეშმაკისეულ ბილიკებით მოსულები –
    ავსულები რომ გაოცდეს
        და გაკვირდეს
და მტრებს დაუყენონ თოლი.
    ჩემს „ფსალმუნებს“,
    დების: მედეას და კირკეს,
ცვარ-ნამული ახლავს მოლი.

1993

## სამი იოანე

(ვარიანტი)

ვით შეფერის ან მარეს და,
აიეტის ზღაპრულ კოლხეთს,
ისე, ვეღარ ვუგალობე,
მიტომაა მომდევს კილვით:
ხმები სამი იოანეს –
მინჩხის,
მტბევარ,
მოდრეკილის.

1988

## ჰიმალაიში

ვით იდუმალებით მოცული ამბავი,
აქ თოვლში განისვენებს
შამბალი.
და ისმის: დჰიმალი,
ლიმბუ და ნევარი,
ჩემამდე ვერ აღწევს ნახევარი.
მე ვიცი,
ბევრ რამეს მიმალავს
და უკვდავებაში მიმავალს
შევყურებ ჰიმალაის,
ვით წმინდა სულების სავანეს.

1983

* * *

პოეზიის მაცილებს –
გარს ეხვიათ ბრბო-მონის,
მიტომ რისხვა ერგებათ.
შენ მოხველ და მაშინვე,
(რადგან ვერ შეგაშინეს).
მტვრად აქციე ბომონი,
მისი ოქროს კერპებით.

1983



* * *

ჯოჯოხეთი არის ყველაგან,
აქაც,
იქაც!
არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი,
აცხადებს –
წინასწარმეტყველი მიქა.

2005

## ცოდნა ეზოთერული

ტყუილად მისტიარიან
ეგვიპტურ მისტერიას,
უღმერთობით სნეულნი.
ეს შენ იცი, პოეტო:
კოლხეთიდან მოედო,
ახალშობილ სამყაროს –
ცოდნა ეზოთერული.*

1969

* საიდუმლო, დაფარული.

* * *

ვითარც ცხადს და ვითარც სიზმარს,
        თუკი სხვები უარყოფენ,
        სიყვარულში ასე ჩუმი,
ვით ერთს, უჭვრეტს ორთავ სოფელს,
დიდი
        ჯალალ-ედ-დინ რუმი.

1972

## ჰერკულესის თასი

კოლხურ სიბრძნის სადღეგრძელო,
იმ თასიდან უნდა მოსვა,
რომელიც თვის უერთგულესს,
რომ მიართვა კოლხ –
ჰერკულესს,
მზის ღვთაება ჰელიოსმა.

1994

* * *

ნათლის ბილიკებით მიმავალნი –
მარადისობას ერთვიან
და დარი უდგათ
საამური.
ვითარ სამება ერთია:
ეროსი,
კუპიდონი
და ამური.

1984

* * *

წუხილის ქვაზე მოულოდნელად,
როცა სიკვდილმა
ცელი ალესა,
შენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა,
მაგრამ გადარჩი,
ვით აქილევსი,
რადგანაც ცეცხლზე გაწრთო თეტიდამ.

1991

* * *

ტიგროსი და ევფრატი,
არაგვი და ენგური,
ერთი დედის ნაშობნი,
ისევ ერთად ივლიან,
რადგან ერთად ილოცეს,
ორთხივე ცის შვილია,
ვით მტკვარი და ნილოსი.

1991

* * *

მაღალი დღისგან მიტოვებული
მზე სისხლდაცლილი
და გარიყული,
აღმოსავლეთით შორი გზით მიდის.
მოოქროვილი სხივთა
რიკულით,
დღე და ღამის შუა მთვარეა –
ხიდი.

1981

## ოცდაათი წელია

თვალს გიკრავენ მთიები
და ნიადაგ გელიან...
შენ კი დაბლა გეწევა
მიწის შავი სიმძიმე.
ოცდაათი წელია,
ზეცას რომ შესციცინებ.

1971

* * *

სიცოცხლე და სიკვდილი
	შუაზეა გაკვეთილი,
	ეშმას შეცდომილნი კი
სიხარულის ზღვას ყოფენ.
ყველა საქმე კეთილი,
		არის სიბრძნის ნაყოფი.

1997

## მთათა კიბეებს მიუჰყვები ზევით

შურის და მტრობის ბალან
                    აშლილი,
დაბლა გეწევა ათასი დევი.
შორიდან გიმზერს მთვარე –
                    ნინველი.
მთათა კიბეებს მიჰყვები ზევით,
შენი მაღალი მზის –
                    სახილველად.

2004

## გბუგავს სიტყვის სახმილი

ღამეები,
დღის იქით,
თვალებს ჩუმად ახელენ
და მზეს მისგან ღებულობ.
გბუგავს სიტყვის სახმილი,
უფლის ნათელღებულო.

## მიწისა და ცის ფრთები

დამფრთხალ ქარის ძახილზე,
როცა გაშლის ზღვა აფრებს,
მზით და მთვარით
ირთვები.
ლაჟვარდებში დაგაფრენს –
მიწისა და ცის ფრთები.

2003

* * *

მწუხრის ანგელოზებმა,
მზით დახუნძლულ
ცის ურემს –
ვარსკვლავები შეუბეს.
ზღვა ღელვას ვერ იურვებს.
ზის პოეტი და ელის
ციდან ღამის მეუფეს.

1967

## ამბობს ლუკა

საყდრის კართან ლოცვით დაღვრილ –
მოკვდავთა ცრემლს, –
ამბობს ლუკა:
მაღალი მზე აშრობს დილის.
ბოლოს რჩება სიკვდილს
ლუკმად,
ყოფილიც და არყოფილიც.

## ანატოლიაში

ჩემი წინაპრების სული აქ
ტრიალებს! –
გავყვირი სივრცეებს...
მაგრამ დუმს ყოველი
და არავინაა გამგონე,
რომ ყველა ქვა და ხე
და კენჭიც მაგონებს:
აქ ადრე მოსახლე –
მაკრელებს,[1]
მაკრისებს,[2]
მაკრონებს.[3]

1983

[123] იგივე მეგრელები (ქართველები) მოსახლე კრეტაზე, ხმელთაშუაზღვის კუნძულებზე და ანატოლიაში. (ჩვ.წ.აღ.XXს.)

## ერთი ვარსკვლავი

ციდან ერთი ვარსკვლავი,
სულ რაღაცას მანიშნებს,
ოქროს თავის კანტურით –
მის თვალიდან გადმოდის
რაღაც ენიგმატური.*

1965

---

* ენიგმატური (ბერძნ.) საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობელი.

* * *

აღარ გაძინებს გლოვის ხმა, –
კრწანისის და
მარაბდის
და აღარც დილის საარი.
შენი სამშობლო ზღვა არის,
ქარიშხლიანი მარადის.

1979

* * *

„...დამარხულ არს ენა ქართული“.
იოანე ზოსიმე

სადღაც,
ვიღაც ყაჩაღი,
ვითომ სიბრძნით და ნიჭით,
ნახშირს,
ოქროდ ასაღებს.
შენ კი მალავ გასაღებს -
ცის და მიწის
კარიბჭის.

1987

**ნენანა**

უფლისთვის სიცოცხლეც,
სიკვდილიც,
კოლხებს რომ არასდროს
ენანათ,
შორეულ წარსულში...
და ახლაც,
ელვის ჯვარს ისახავს
ჩუმ-ჩუმად,
კოლხურ ცის ტაძარში ნენანა.*

1967

---

* ნენანა – პრეისტორიული კოლხური მოდგმის ხალხთა ნაყოფიერების ღვთაება.

* * *

მწუხრისას,
მთვარის თეთრ საყდარიდან,
მკრთალ შუქად გამოკრთის
გოდება.
დღეები სივრცეებს მაწყურებენ...
მიწა იტანჯება –
მოკვდავთა ცოდვებით,
ზეცას აწუხებს –
ვარსკვლავთა წყლულები.

1966

**ხედავს სული**

ჩვენ ვერ ვიგებთ,
მაგრამ ელვად,
უფლის ხმები მუდამ
ისმის –
ცად ცნობადის ხედ ასული.
და ქრისტე ღმერთს,
მოსილს ნისლით,
თვალი არა, ხედავს სული.

1969

* * *

უფლის გამოცხადება:
თოლიად და
მერცხლადაც,
ასწლეულებს მიაპობს.
ის,
შენც გამოგეცხადა,
ვით ისაკს და იაკობს.

1978

* * *

ვარსკვლავების ნაკვერჩხლების –
უფალს თვალში ცა
უელავს
და მთვარის კარს აღებს,
კეტავს.
მე,
კი, როგორც სამუელი,
ისევ ვდგავარ მისდა ჭვრეტად.

1974

* * *

ვარსკვლავების ასოებით,
ცის რვეულში უნდა ვწერო,
ჩემო არაგვო და
მტკვარო.
და ვიხილო „მაყვლის ჩერო!“[1]
„საუნჯე“[2] და
„წმინდა წყარო!“[3]

1971

---

[1] ღმერთისა და მარიამის ატრიბუტიკა.

* * *

უწესრიგოდ მიმოყრილი
ხსოვნა –
ლოდად მოჩანს დაბლა
და ყვავილთა ზვინები.
მისხდომიან –
მთვარის ტაბლას,
გუნდი ქერუბიმების.

1973

## სიკვდილია შუამავალი

რასაც მიწა დაგვავიწყებს,
ცა – გვახსომებს
და გვავალებს.
რადგან ქვეყნად კაცს და ღმერთს
შუა,
სიკვდილია შუამავალი.

2004

## ორი დავითი

ოქროს სიტყვით დარახტული,
როს გადუფრენს
მთებსაც ჰუნე,
მაშინ ლოცვას,
ცად აღუვლენ
ორ დიდ დავითს:
ერთს მეომარს და მეორე –
მეფსალმუნეს.

1968

## ხილვა: ქრისტეს ჯვარცმა

ქრისტეს ჯვარცმა იხილეს,
ღამეც თეთრად ათიეს,
ახლაც ერთად არიან:
სისხლით სავსე ბარძიმით
ვჭვრეტ: ი. არიმათიელს,
მართასა და მარიამს.

1966

* * *

შენი მოსვლა სამყაროს –
იდუმალად აუწყეს:
ქარმა,
თოვლმა,
წვიმამა.
დრო მოვა და გაუსწრებ
შენ,
უკანა..
წინმავალს.

1966

* * *

(სამოთხე)

ჩვენ რომ მივალთ
　　　　im ქვეყანას,
　　　　თვალები სულ მზით ევსება –
და არასდროს იბინდება.
　　　　ვარსკვლავები ცის მინდორზე
　　　　ითესება,
მარადიულ ყანად ამობიბინდება.

1972

* * *

ვამბობ მათ გასაგონად:
(თუნდ მექიშპონ,
მედაონ!)
ათონსა და ზედაზენს,
მეც მიხილავს მზეთამზე,
ვით ისაკს და გედეონს.

1978

# გიგანტომახია

ცხრა ცისა და ცხრამუზის
რისხვა შენზე ახია.
წელი არის ერგასი,
რომ ეწევი მსოფლიო
პოეზიის პერგამში[1]
შენ,
გიგანტომახიას.[2]

2001

[1] პერგამი – ტაძარი
[2] გიგანტომახია (ბერძნ.) გიგანტთა ომი.

* * *

პონტოს სანაპიროზე –
ლეგენდებით,
მითებით,
საიდუმლოდ მოსილი,
კოლხეთია –
სამყაროს,
„საკრალური ბოსელი“.

1963

* * *

ჯვარცმულ სამყაროს კვნესა –
      ათასწლეულებს მიაქვთ.
      და ცას –
            „დაკლულ კრავს“ ვადრი.
ისევ ედება იას, –
            ფერი მეწამულ ვარდის.

1977

## გზა შორია მექამდე

ქართლს და ეგრისს ნიადაგ,
თავზე დასტრიალებდი,
ვით ხელმწიფე ადრეკი.
გზა შორია მექამდე?!
მაგრამ ამ გზას ადექი,
შენ სამყაროს შექმნამდე.

1986

* * *

ჯვარზე აცვეს მზის ქვეყანა...
        თეთრი ვარდი –
                წითლად იქცა,
ლურჯად თეთრი იები.
„ოქროს საწმისს“
                გაჰყვა თანაც,
        კოლხთა მისტერიები.

1969

## ხილვა: რეა კიბელა

რომ არ გაწყდეს კავშირი,
უფლის ნებას ასრულებს:
ამარანტის მთებიდან
კიბეს ადგამს კიბელა –
ცის და მიწის ასული.

1987

* * *

ზოგ-ზოგები ძველებურად
        რკინას,
                ოქროდ ასაღებენ,
რაც მათ შვებას ანიჭებთ.
        კოლხეთია –
                გასაღები,
ცის და მიწის კარიბჭის.

1972

# ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი

„...მარიამ ღვთისმშობელი იყო
სოფიას შვიდწევროვანი, ანუ
მთლიანი, წმინდა არსის მატარებელი
პიროვნება.“

ეკა ჯაფოშვილი

ბრწყინავს ცა კოსმიური..
ვჭვრეტ: მარიამ ღვთისმშობელს,
რომელიც ექვს „სეფე ქალს“
ანუ თავის „მსახურებს“,
თავზე იდუმალების –
კოლხურ მანდილს ახურავს.

2007

## ველი, ვითარც ფარნავაზი

მარადისი საცხოვრისი,
წამს დავტოვე მხარე –
მიღმის,
სადაც მინდვრებს ფარავს ვაზი.
სანადიროდ მარტო მივალ
ველზე დიღმის,
და მზის სახით უფლის ხილვას,
ველი, ვითარც ფარნავაზი.

1967

## სულიწმინდის ქნარი

ახალი წლის სუნთქვა მესმის
და ცა სისპეტაკეს ბარდნის.
ჩემში სიხარულის ქარით
გადმოვიდა უფლის მადლი
და ვარ სულიწმინდის
ქნარი.

1971

* * *

ვიღაც სივრცეს ხნავს
ელვის სახნისით,
ღამე დილამდე თესავს ვარსკვლავებს.
მთვარე ისე, ვით მეხრე
ტრიალებს.
მაღლა, ცის ტახტზე ჯდომას
მეფურად,
დაბლა, მიწაზე მირჩევნია
მე ხეტიალი.

2001

## ხილვა: ჯვარზე გაკრული ქრისტე

ცის მაღალ კაბადონზე –
სხედან ანგელოზები
და მაცხოვარს ელიან.
ის კი ჯვარზე გაკრული
უხმოდ უხმობს
ელიას.*

1980

---

* ელია (ქართულ მითოლოგიაში) წვიმის მომყვანი ღვთაება.

## კვერცხი – სამყარო

შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი,
საიდუმლოების კარები იღება.
(არა უშავს რა,
მითებმა იბოლონ.)
კვერცხი – სამყარო წითლად შეიღება,
როგორც ჯვარცმის და
აღდგომის სიმბოლო.

1998

## ია – ცაა და დედამიწა – ვარდი

მოსული ბიბლიიდან,
თუ გასწევ ჟამთა
სქელ ფარდებს,
ნახავ: რომ უფალი ერთია.
ია – ცაა და
დედამიწა – ვარდი,
მათი ოდაბადე* – კოლხეთია.

1978

* ოდაბადე (მეგრ.) – დაბადების ადგილი.

* * *

ოქროს მთიებით შემოსარული,
მთვარეა ჩემი ღია
სამარე.
მომელის ჯვარცმა...
და მიხარია,
რომ ქართველისთვის, ვით დროს
თამარის,
სამშობლო ისევ მზე და ფარია.

1990

**ხილვა: „ათი ქალწული“**

შუაღამეს ყივიან მამლები,
　　　　წინ სახარება მიძევს
　　　　და ვხედავ:
　　　　　ლოდინით დაღალულ
ქალწულებს,
ვიღაცა კითხულობს: – მოვიდა სიძე?!
მათ მხრები აწურეს.

1971

* * *

სულ სხვა არის კოლხეთი,
მთაც ზღვასავით
ნარნარებს –
სვანეთის და ცაგერის.
შენ,
ცისშვილს, ვით ან მარეს,
მიწა არა, ცა გელის.

2004

* * *

ულაჟვარდეს ცის ტბაში,
ფრთათრხევა გედების,
თვით უფალსაც ამშვიდებს.
და მოკვდავთა ვედრება
აკრთობს –
„უფანაშიდებს“.

1989

## ზოგ-ზოგ მეძროვეებს

წელი სამოცდაათი –
        კომუნიზმის ლოდინში,
        ყურთბალიშზე ეძინათ;
თავი წარმოედგინათ –
                კონფუცად და ლაოძად
                ანდა დაო-დე ძინად.

1989

## რაფაელი, დავინჩი... და მიქელანჯელო

რიჟრაჟზე ფუნჯის და საჭრეთლის,
მარადისობად ქცეულან
წამები
და დიად სამყაროს ეყოფა
სასჯელად,
რომ ერთი ქვეყნიდან ციური
სამება
ჰყავდა: რაფაელი,
დავინჩი...
და მიქელანჯელო.

1970

* * *

ცაში გადამალული –
ოქროს თასი გრაალის -
დაბლა ჩამოიტანე.
ზრდიდა მიწა ქართული –
პოეზიის ღმერთკაცებს,
გიგანტებს და
ტიტანებს.

2001

* * *

ხელთ გიპყრია სიცოცხლე –
ცრემლის ქვაზე ნალესი.
სულის – ცაში,
მიწაში – არის ბინა სხეულის.
ვითარც რერიხს მოგესმის ხმები
უზენაესის
და „კოლხურ ფსალმუნებში“ იწერ
„მინარხეულით“.

1994

* * *

ვით სიახლე მზის და ორბის –
ახალდაბა,
ახალშენი,
სამერმისოდ სულ ითვალე.
სულ სხვა სიბრძნე
ახლავს შენი –
სულის ფრთებს და გულის თვალებს.

1976

## ქართულ სიტყვის ქვისგან აგებ

„მთელ-მთელი ქვებისგან უნდა ააგო
უფლის, შენი ღვთის სამსხვერპლო.“
(მეორე რჯული 5,6)

მთები –
ღმერთთა საფლავები,
ღრუბლებმა რომ დაიტირეს.
უფლის ლოცვად გითრთის ბაგე
და შენს ლექსებს,
ვით ქვიტკირებს,
ქართულ სიტყვის ქვისგან აგებ.

1968

* * *

თუკი მოხველ სიცოცხლედ,
სიკვდილს ვერ აიცილებ!
აჰა, წუთისოფელი –
სათარეშოდ მაცილის
და ბრმა მეფისტოფელის.

2007

## ქართული სული

გადმოლახა უშქარი
ზღვები,
მთები,
ქარ-წვიმა
და ჰა, სულმა ქართულმა,
მზისებრ წელგამართულმა,
მილიონის წლის მერე,
ჩვენამდე მოაღწია.

1991

**ჰერკულესი**

ზევსის ძეს და გმირთა-გმირს
და მამის უერთგულესს,
სავსე იდუმალებით
და სიშორით აღვსილი –
მზე ეჭირა ჰერკულესს
ხელთ გრაალის თასივით.

1964

* * *

არული ეშმას და ბელზებელს,
ღამეებს ბნელზე ბნელს
არული.
სამყაროს მშვენებით ფარავენ:
ღვთის მადლი,
რწმენა და სიყვარული,
გაზაფხული,
ვარდი და კარავი.

1963

* * *

გვიან თუ ადრე
მოვა იგი და
ყოველს განსჯის:
– ვინ უსინჯავდა პოეზიის
აპოლონს მაჯას.

2005

* * *

ღამის ჩოხას როს იკრავდა,
ცას ვარსკვლავის
ღილი აწყდა.
ღრუბლის მთებზე –
მთვარე გდია წერაქვივით.
შენს სულს მალე,
ამირანის ცეცხლი
განწმენდს,
ვით ბიბლიურ ესაიას,
სერაფიმი.

1966

* * *

ეშმაკი და დემონი,
аფრთხობდა და სდევნიდა
და შენს ბჭეს არიდებდა –
ანგელოზთა გალობას.
მაგრამ მაინც უფალმა
მადლი ჭეშმარიტების,
ვითარც პოეტს და მსაჯულს,
მხოლოდ შენ გიწყალობა.

1972

**რისტე – 2000**

განგების ნებით ცა გადახსნული,
რწმენის დასათესს მოჰგავს
საყანეს.
დარი კი უდგათ მღვდლებსა და
ბეგებს.
ორი ათასი წლის იქიდან
მესმის ყაყანი:
„ჯვარს აცვით ეგე!“

1969

* * *

ერთხელ პარას ჭალაში,
ვჭვრეტდი სანაპიროებს –
მსუბუქ ნისლით შემოსილს.
უცებ, გონში სიჩუმის,
თითქოს მეხი გავარდა:
მესმა ხმა ანგელოზის,
მასთან ერთად თავადის.

1959

* * *

თავს კლდეებს უხათქუნებენ,
სულ ასე,
დაუსრუბლივ,
ტალღები თითქოს და ბრიყვებია.
და წყალში დამხვრჩალთა
სულები,
ზღვიდან ამომავალ ღრუბლებს
ზეცაში მიყვებიან.

1979

* * *

ერთი ფასი აქვს –
arás და არადანს,
სიცოცხლის წლები სულ ითვალე,
არ შველის...
ნამდვილი კი არა და,
ფარულ სხივს იხილავ
სულის თვალით.

1966

## აბიდოსის და მარტვილის

შვიდიათასწლეულის –
  მღვრიე ქარში ნარწევი,
  დრო კოლხურად დასტირის –
აბიდოსის,[1]
          მარტვილის[2]
ტაძრის და ქვის წარწერებს.

2001

---

[1] აბიდოსის (ეგვიპტე) – ტაძარი (7000წ.)
[2] მარტვილის (სამეგრელო) ქვა – „გველის თავი“ (7000წ.)

* * *

აბრეშუმის პარკივით –
ოქრო შემოგაქსოვა
და „შეგჭამა“ გენიამ,
როგორც იერემია,
ბაბილონის ხელმწიფემ, –
ნაბუქოდონოსორმა.

1993

## „აღდგომა“

(მინაწერი მხატვარ ნიკო ხერკელაძის
ფერწერულ სურათზე)

მათ სტკივათ ვარსკვლავთა იარა,
მზეთამზის სიშორის ხსენება.
ისინი აღდგომის კვერცხს
კი არა,
იდუმალებით მოცულ სამყაროს,
მარადისობაში –
მიასვენებენ...

2001

* * *

ზღვაში პრეისტორიის
　　„ხსნის მთას“ ვეღარ ვპოულობ,
　　თუმც კოლხეთში მეგულვის,
რწმენა მაინც აღნება:
　　ჰიმალაის,
　　　　　შამბალას,
და მწვერვალებს ანდების.

1983

* * *

მთას პირში უდევს ალვირად,
        შავი და თეთრი არაგვი,
        ასი ათასი წელია.
ვაჟა!
        ამბრი და არაბნი,
        ვერასდროს „მოგეწევიან“.

1976

* * *

ცხრათავიანი დევები –
        ზღაპარში ახლაც მიბია,
        (ერთ დროს მათი ტყვე ვიყავი.).
დღეს,
        ხელისგულზე მიჰყავის,
        სახარებაც და ბიბლიაც.

1964



* * *

ერთიან ამოგიხოცავ,
im ქაჯებსა და
წარმართებს,
თუნდაც ზღვამ კვლავ რომ მიშაროს.
ფრიდონ!
შენს ბიძებს წავართმევ,
დაგიბრუნებ გულანშაროს.

1968

## ორი ხმა

მიწისა და ცის გვამში –
ბრუნავს ჟამთა მორევი.
შენ მზის ბჭემდე
ატანილს, –
უფლის ხმას და სატანის,
ერთად ისმენ ორივეს.

1969

* * *

დავიწყებიდან გადმოფრენილი,
ქართვლის ცის ფსკერზე
ისმის ძახილი,
ათასწლეულებში ღამეებ ნათევთა:
დრო დადგა! – „აღიღონ მახვილი!“
სამშობლოსათვის –
„ყოველთა ქართველთა!“

1989

## ტაშისკარს, მარტყოფს და მარაბდას

ჩვენი ცისა და მიწის მოსურნე
მომხდურს,
ცხვირიდან ძმარს რომ
ადენდა.
ქართველს ღვთისმშობლის
მადლი ფარავდა.
ადგას დიდების შარავანდედი:
ტაშისკარს,
მარტყოფს და
მარაბდას.

1989

**გათენება**

ფეხშიშველი,
ტანშიშველი,
ელვა ცაში დაკანკალებს,
ო, ვინ იცის, როგორ სცივა,
დაუკარგავს საწყალს ეშხი.
და მთიებიც ბნელში ცვივა,
როგორც ლეშხერი და ლეშხი.

1971

* * *

ბიბლიიდან თუ სინას „მთიდან“, –
ლოცვისა და გალობის
ისმის ძველი მოტივი.
ვარსკვლავების თასებით
სვამენ კვლავ ათასები
ღვინოს –
საბაოთივით.

1979

## ხილვა: მედეას დაბრუნება

სამიათასწლეულის მერეც
თავის სამშობლო,
პონტოს პირას ეგულვის,
რომელმაც მთელ სამყაროს
მზის ნათელი მოჰფინა.
აიეტის ასული ეტლით –
დრაკონშებმულით,
ვჭვრეტ: კოლხეთს, ვით მოფრინავს.

1972

* * *

იგავების მოგდევს ჯარი,
ლოგინს ზღაპრის კარად
იგებ –
ჩემო... და მტერს რა დაულევს –
შენი აზრის პარადიგმებს,
შენი სიტყვის ნართაულებს.

1991

* * *

ვზივართ ორნი პონტოს პირას
და დაგვცქერის ცა –
კოლხეთის.
რომ მიყვარხარ! თავს ვიწონებ.
ტრფობა მექცა –
ჯოჯოხეთად,
გულს ისარი განვიწონე.

1969

**ხილვა: ბედიის ტაძარი**[1]

დგას და...
ჟამმა ვეღარ დაძრა,
მადლს ამისთვის უფალს ვუხდი.
ვჭვრეტ: ბედიის მაღალ ტაძარს,
ვით სწირავენ ოქროს ბარძიმს
ბაგრატი[2] და
გურანდუხტი.[3]

1964

[1] ბედიის ტაძარი – (X-XI სს.) აფხაზეთი, ოჩამჩირის რა-იონი.
[2] ბაგრატ მეფე – (X-XIსს.)
[3] გურანდუხტი – ბაგრატის დედა.

* * *

ღრუბლებს მტვერი ადინა,
როცა ქარმა იქარა.
ცამ,
ვით მოსემ სახეზე,
ნისლის რიდე – მანდილი,
უცებ ჩამოიფარა.

1969

**ხევსურეთში**

„ავის გორს“ ნისლად რომ აუდის,
დახოცილ დევების
ცხელ სისხლის ორთქლია,
კოპალამ კლდეებს რომ მიასხა.
ცხვარს ვეძებ ოთხყურას,
ოთხრქიანს,
ვიპოვი და დავკლავ
და „ტბიდან წიწადას“,
„მტრედისფრად“ ამოვიყვან
იახსარს.

1976

## მსაჯულებს და რჯულისკაცებს

ქუხილის წინ,
ვითარც ელვა,
წყვდიადს ნათლის უვლის
მაცნედ.
ბნელს გვიფანტავ შენც მოგვივით.
და მფარველად ცა მოგივლენს
მსაჯულებს და
რჯულისკაცებს.

1982

**ხილვა: „სიცოცხლის ხე“**

ჯერ ფაზისი არ ფაზისობს,
ხმა არ ისმის მტკვრისა.
აღარ მოსავთ მთებს მშვენება.
სიცოცხლის ხე –
მეჩვენება –
პალმად და კიპარისად.

1964

## ისე, როგორც კადმოსმა[1]

დამე ფიქრმა გაათენა,
მაგრამ მითის მტვრიან გზაზე,
არც ინო[2] ჩანს,
არც ათენა.[3]
და გსურს დრაკონს შეებრძოლო,
ისე, როგორც კადმოსმა.
ცას შესცქერი და
მოელი
უფლის მადლის გარდმოსვლას.

1968

[1] კადმოსი (ბერძ.) თებეს მითიური დამაარსებელი, ინიკიური ანბანის შემქმნელი.
[2] ინო – კადმოსის შვილი
[3] ათენა – ზევსის ქალიშვილი.

* * *

(ვარიანტი)

ნისლით გაცრეცილ სანაპიროზე
          იჯექ და კენჭებს ზღვაში
                    ისროდი,
ნაპირი ტალღებს სვლა-გეზს
უცვლიდა.
გაკვეთა ელვამ...
          და ამოჰყავთ საკეისროთი
          მთვარე,
          ვარსკვლავებს ღამის
                    მუცლიდან.

1966

## ქაშაგებს და ბჟადუღებს

სარმარტ - კიმერიელნი,
სკვითები და
ჰუნები –
საქართველოს წარსულში
ქვას ქვაზე კვლავ ადუღებს.
ველარ შველით ბუნება:
ჩერქეზებს[1] და უბიხებს,[2]
ქაშაგებს[3] და ბჟადუღებს.[4]

1979

[1234] ქართველთა მონათესავე ტომები.

* * *

ვარსკვლავთა ჯოგებს ბღაოდა, –
ცის უსამანო ბოსელი,
მთვარე, ვით ჯვარცმა ეკიდა.
თეთნულდი თეთრით მოსილი,
ელვის ნათელზე მოჰგავდა:
ქრისტეს აღდგომას
მკვდრეთიდან.

1964

## უნდა აღავლინო ლოცვა

სიყვარული უნდა თესო,
        რადგან ქვეყნად
                კაცად იშვი.
თუ მოგიწევს სოფლად მოცდა –
ჭმუნვით და
                ვაი,
                 ვიშით!
უნდა აღავლინო ლოცვა
        და სულ გქონდეს უფლის შიში.

1971

## ჩემი ციხე-ტაძარი

ველი სულის მილევით,
აღარა ჩანს მესია
და ცა ღამეს მაძალებს.
ჩემი ავისმეტყველნი,
რაც შურის ქვებს მესვრიან,
მით უფრორე მაღლდება –
ჩემი ციხე-ტაძარი.

2005

* * *

შენ ვაზს გავხარ დახუნძლულს,
მაგრამ ბევრჯერ დასეტყვილს.
გიცავს ფრთათა შრიალი –
მზითმოსილი მეველის.
ცით მოსული,
ცას ელტვი,
წუთისოფლის მძლეველი.

2001

## სული და ხორცი

„ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის
სიძვა, სიძულვილი, მწვალებლობა,
კერპთმსახურება, მისნობა, შური,
მტრობა, შუღლი, მკვლელობა და ა.შ.“
პავლე მოციქული

უნდა ამაღლდე ბორცვად
ანდა სინათლის სვეტად.
აღარ გიშველის ლოცვა,
სანამ სულს,
თოვლზე სპეტაკს,
აღარ დატოვებს ხორცი.

## შურის სანთლები

სადღაც ათასწლეულთა იქით,
ღამენათევი,
შენ,
კულტურა გეძახის კრეტისა და
მიკენის.
და ზოგ კერპთაყვანისმცემთა
შურის შავი სანთლები
წყვდიადში გზას გიკვლევენ...

1973

* * *

გაქრება თვალ-მარგალიტი,
მაგრამ სახელს და
დიდებას,
დრო-ჟამი ველარ მონისლავს,
ვითარცა სიბრძნეს –
ზირაქის
და იგავს სოლომონისას.

1984

* * *

ყურს თუ მიუგდებ –
თბილისის ძველ უბნებს,
ქარი ქრის,
წვიმა თუ დარია,
წარსულიდან მოისმის ყაყანი
ამქრების:
– ვარსკვლავები –
ღამის სიზმარია,
დილა გაიღვიძებს და გაქრება.

1981

## პოეზია

რუსთაველის პოეზიას,
ვითარცა სულს,
ნაწილ-ნაწილ ვერვინ დაშლის,
მთლიანია,
ერთიანი – კვართული.
„პოეზია ყვავის ყველა ქვეყანაში“,*
მაგრამ სხვაა –
პოეზია ქართული.

1989

---

* ჰეგელი

* * *

სადღაც ღრუბელი ჩანდა –
მარხილად,
რომელსაც ჟამი
ათოვ-აწვიმდა.
ძირს კი ცოდვილი, მადლმა
უფლისამ,
დიდხანს ავედრა და ამარხულა,
ბოლოს ციური ცეცხლით
განწმინდა.

1993

## მარგალიტებში ეძებ მარგალიტს

მინაწერი „კოლხურ ფსალმუნების“
ათასგვერდიან მეოთხე ტომზე.

მარგალიტებში ეძებ მარგალიტს...
წვიმდა და უცებ
გამოიდარა,
და აწკრიალდა შენი კითარა.
ამ ცისქვეშეთში,
თანამედროვე,
არ მეგულება შენზე მდიდარი.

2008

* * *

ფრთებს საფრენად როცა გაშლი,
მიწის ვნება თუ არ
დაცხრა,
წახვალ,
მიაშურებ ცაში,
შენი ბედისწერის ვარსკვლავს,
ვით მშობლიურ
მეგრულ ფაცხას.

1999

* * *

ცამდე ამაღლებული,
დაბლა დასცეს ფასი მზის,
და კოლხეთი მეხუთედ
სურთ რომ აანამქერონ!!!
შეუერთონ ფაზისი,
ლეთესა[1] და აქერონს.[2]

1993

[12] ქვესკენლის მდინარეები.

* * *

ლეგენდებით დახუნძლული,
დუმს არმაზის მთების
კალთა.
აღსავლით კი მზე აფრინდა.
მტკვრის სარკეში
ელვა გაკრთა,
ელვა იყო,
თუ ჩახედა სერაფიტამ?!

1971

* * *

კოლხეთი რომ სამყაროს –
ყოფნის დასაწყისია,
ნურვინ გაიოცებს:
და დასტურს სცემს ლისია,[1]
თეოპომპე ქიოსელს.[2]

1979

[12] ლისია, ქიოსელი – ძველბერძენი ავტორები.

* * *

ჭეშმარიტების და სიბრძნის,
იმედის და
სასოს მომცემს,
მეც,
ვით დანტე და ვით ჰესე,
ვილოცებ ღმერთს
„მადლის მთესველს“,
სიკვდილისგან წარუხოცელს.

1982

* * *

რადგანაც მითვალთვალებს
　　თვალბედითი მაცილი,
　　აი,
　　　　მიტომ გამჩენმა,
მომცა ფრთები ფრინველის.
და...
　　წამით არ მაცილებს
　　　　მზერას –
　　　　　　ყოვლისმხილველი.

1962

* * *

სიცოცხლის გზითა და ბილიკით,
ამ საწუთროში მოვედი რადგან,
მივაყურადებ შორიდან
გლოვის ხმას.
მერე დავიკავებ სიწმინდის არგანს
და მადლის მოსასხამს
მოვისხამ.

2004

## ბევრჯერ ჩამოკრეს შურის ზარს

სანამდე მთებს დალაშქრავდი,
გამოიარე შორი გზა
ეკლების...
არა ჟასმინის.
მზაკვართა ნაშიერებმა:
ბევრჯერ ჩამოჰკრეს
შურის ზარს,
მაგრამ ვერავის ასმინეს.

2007

## შაჰ აბას I ლაშქრობა კახეთში – 1616

შაჰის „შაჰსევანები“,
გზა-გზა კაცებს კოდავენ,
ქალებს სჭრიან დალალებს.
მათი ცოდვით ცა ტირის.
ტყეში ჭოტი ვალალებს...
„ქლეტენ... წყვეტენ...“
წერს, – მოთქვამს,
პიერო დე-ლა-ვალე*.

* (ევროპელი მოგზაური.)

* * *

უკეთურთა თვალები,
        ისევ გითვალთვალებენ,
        მაგრამ არ დაემონო:
მწვალებელთა,
                მზაკვართა
        და ბოროტთა დემონებს.

1977

* * *

შორეული წარღვნიდან,
ვითარც პარას ჭალიდან,
ხმა მესმოდა ვერძების.
და... მე,
ეშმას კი არა,
ჩემს უფალს დავეძებდი.

1982

* * *

თვალებს უხელ ბრმებს და,
ასმენ სმენით სნეულებს,
თვით მაცხოვრის იერით.
სფეროებს და პლანეტებს
და შორ ათასწლეულებს-
დღეში ასჯერ სტუმრობ და
ჩუმად ათვალიერებ.

1990

* * *

ვით ბრძანებდა ბრძენი დავით,
ეს ცხოვრება არის ხარო*
და შიგ ვზივარ დარდიანი.
სიცოცხლე კი ველარ ხარობს
და...
სიკვდილი მადლი არი.

2006

---

* ხარო – ორმო.

* * *

ჩავცქერი არაგვის სარკეს და,
ვხედავ რომ ბაყბაყმა
შატილთან,
ხევსურებს წყარო, ვით მოპარა.
იხინჭა მოუხმობს
ღვთისშვილებს:
იახსარს,
პირქუშს და კოპალას.

1976

# მზე აღმოხდა ტიბიას

ცამ როდესაც მთიები –
გულ-მკერდზე დაიბნია,
გახდა სულსხვანაირი.
მზე –
აღმოხდათ: ტიბიას,[1]
მანასა[2] და ნაირის.[3]

1979

[123] პრეისტორიული პროტოქართველური ქვეყნები.

* * *

ბედისწერა თანა გდევს,
ჩუმად,
როგორც იუდა.
მუზაც არ გეკარება,
ისიც მთლად გატყიურდა.
მაგრამ შენ რას დაგაკლებს
ქართულ სიტყვის
ფეოდალს.

2005

* * *

ამქვეყნად ავსულთა სიავეს,
ვინღა გამოულევს
სათვალავს,
ვინ იცის, უეცრად გაავდრდეს!
ღვთისშვილი
დევს მისდევს ცალთვალას,
„წიწადას ტბაში“ ვაჰ,
თუ ჩავარდეს!

1976

* * *

ცბიერ ათასწლეულთა –
ლურჯ ფსკერზე დალექილი,
კოლხეთია მითების
სასრულიც და სათავეც:
ხელთუპყრია ენქივით*
ცის და მიწის სადავე.

1974

---

* ენქი – (ეა) – შუმერთა (კოლხთა) ღვთაება.

## ტრანწყალის ციხე

ალაზნის პირ –
მაღალი,
იდგა ციხე ტრანწყალის,
(ახლა ხმალს რომ ვერ აქნევს)
ძლივს უძლებდა საწყალი
შემოსევას მონღოლთა,
თარეშს თურქ-ლეკ-ბელაქნელთ.

1986

* * *

დასტურს დასცემენ მტკვარი,
არაგვი
და ნისლში მდგარი მთები ზედაზნის,
რომლებიც ქართვლის ტრფობას
ბაძავენ,
რომ მადლით სავსე შენ ხარ ტაძარი,
სადაც ანთია სხივი –
მზეთამზის.

1984

## ემზადები სადიდგოროდ

მომხდურს წვერზე აგებ ფიწლის,
რომ ქართველთა სიმამაცემ,
მტრის შარაზე ქვად იგოროს.
თბილისისთვის ჯერ
ვერ იცლი,
ემზადები სადიდგოროდ.

2005

* * *

უფალო!
სოფლად ყოფნის,
მიმაქვს ვახში და
ვალი.
ცა სიკვდილს მიტომ მაწვიმს:
აღარ ვაშორებ თვალებს
მაინც ლომსა და არწივს.

2005

* * *

მისი კვირტი ცაში მჭვრეტი –
ნაძვისა და
მუხის არი.
სხვა ცა მოსავს, სხვა აურა.
უცებ იქცა უხილავი,
უცნაური,
საცნაურად!

1994

* * *

არ ჩანს იგი,
ცა და მიწამ,
ერთმანეთს რომ შეჰფიცეს.
და კოლხეთში ვიღაც უხმობს –
მეფე ხუცეს იოანეს,
ძეს დიდ ფაირეფაცის.

1989

## კვირიას და კოპალეს

ლეგენდებიდან მოსულმა
ცხრა-ცხრათავა დევებმა,
ცხრა-ცხრა მზეთუნახავი,
ვერ იქნა, ვერ მოპარეს:
„ბაცილიგოს“,[1]
„იახსარს“[2]
„კვირიას“[3] და „კოპალეს“.[4]

1976

[1234] მთიულეთის წარმართი ღმერთები.

# სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ ....................................5
ყუარა და იხინჭა ....................................................25
გალებსა და არხიგალებს..................................26
ბროწეულის ყვავილები ....................................27
მწუხარე და ფერმიხდილი................................28
***(სილურჯით და სიმაღლით) ....................29
***(ნათელს ყივიან...) ..........................................30
***(სამშობლოსთვის ხატთან
მლოცველს)...........................................................31
ჯიქები და უბიხები...............................................32
გალაკტიონი-1959 ...............................................33
გულით ხედავს მგოსანი....................................34
ხატების ომი ...........................................................35
***(კოლხეთის...) ..................................................36
იები..............................................................................37
***(მგლების და დევების სამეფოში).........38
***(დრო სულს ამარილებს)............................39
სიზმრები ..................................................................40

***(ლეგენდებით ვეხეტები)..............................41
***(ღამის შავ კალაპოტში)..............................42
გადარჩენა..............................43
***(ვით წეროთა მწკრივი)..............................44
***(ეშმას შეცდომილს)..............................45
მცხეთასა და ზედაზენს..............................46
მეცხრე ცის..............................47
ევროპას, აზიას, ლიბიას..............................48
***(მთვარე ათასწლეულებს)..............................49
***(ქაოსიდან მოსულნი)..............................50
***(მოსალოდნელ დიდების)..............................51
სეტყვა კახეთში..............................52
სოფელში..............................53
სიკვდილს გამოქცეული..............................54
***(მელის ჟამთა მიღიმიდან)..............................55
მზის და მთვარის კალენდარს..............................56
***(დრო და ჟამისგან გადარაზული)..............................57
***(ოქროს ნალით დაჭედილი)..............................58
იუდას და ფარისეველს..............................59
***(ცისკენ ხელაპყრობილი)..............................60

***(მდუმარ სასაფლაოზე)....................................61
***(ვერ ვუღალატებ უფალს)............................62
გოეთეს და ეკერმანს ...............................................63
ვარსკვლავების ბილიკებს ....................................64
შაიამა შამაშ-რერა .......................................................65
***(ვერ ამოთხარა ძირიან) ...................................66
აშრიალდა ცად ნაძვი ...........................................67
ხილვა: ლაზარს აღდგინება..................................68
„გადმოხე ჯვარით“ ..........................................................69
მინაწერი წიგნზე- „იქმენ ნათელი!“...........70
მაცხოვარი...................................................................71
ისმის მნათთა ყაყანი .................................................72
ხილვა: კოლხები და ქალდეველები ..........73
ზედაზნიდან ....................................................................74
ორი ხმა..........................................................................75
მეტი სინათლე.............................................................76
***(ღამის მიღმა)...........................................................77
რაღაც, ენიგმატური..................................................78
***(ვჭვრეტდი ჭეშმარიტებას).........................79
***(მოსარკული შენი ცა) ......................................80

***(ხარ ლეგენდიდან მოსული) ....................81
***(ცაში სხედან და მთიები)..........................82
ლიცენციები ...............................................................83
ცხოვრება ...................................................................84
სამოთხე და ჯოჯოხეთი....................................85
სანთლის ალი ........................................................86
***(მუდამ სხვათა გამკილავი) .......................87
***(წარსულიდან ამოსული) ............................88
***(ის გზა)....................................................................89
***(ვარსკვლავებმა ცის ურემს)....................90
***(ქ-ნ ნარგიზ გოგიას) .....................................91
***(მიღმა რვა თუ ცხრა
ათასწლეულის)........................................................92
***(ცას ჩალისფერი ალამი მთვარის) ......93
***(გაჩენის დღიდან ჩვენი ცხოვრება).....94
***(ბილიკზე ორი ათასწლეულის) .............95
***(შორით მოსული ქარის მუცლიდან)..96
ქასქებსა და დაიანებს ........................................97
საწმისის და გრაალის ........................................98
თემისკარი და თერმოდონი..............................99

***(ვხედავ მძვინვარ ასწლეულებს) ...........100
***(ფერადი შუშიდან ვუცქერით)................101
აინინა, აონი და ანატორი ................................102
***(ვითარც წინაპართა სული).......................103
სამეგრელოს ექვსი დალაშქვრის
ათიწლისთავი ..........................................................104
***(აღმოსავლეთ-დასავლეთს).........................105
***(სიხარულის მთა-ველი) ................................106
***(შოორეული წარსულიდან).......................107
***(არსთაგამრიგე კვლავ
გითვალთვალებს) ...............................................108
***(უნდა ლოცვა-ვედრებით)............................109
თეთრი ვარდი ..........................................................110
***(ჯერ დედამიწა არ შობილა) ..................111
***(ლაზარს კი ისევ სძინავს).........................112
***(ადამის ძის მოდგმის ცრემლით)..........113
***(რემამ საუკუნეთა).........................................114
ხილვა: რეა კიბელა ................................................115
ხილვა: სინას მთა ....................................................116
იდუმალების ეტლით.............................................117

ორი ეროსი ............................................................118
***(ბადრი, უსუპი, ამირან) ...............................119
***(მიღმა ათასლწულების).............................120
აეროლითები...........................................................121
***(შენი ხმა, ვით ორფევსის ..........................122
***(აქ იუდებს რა გამოლევს) ........................123
***(გაზაფხულის ქარებმა)...............................124
***(ეშმაკისეულ ბილიკებით
მოსულები)..............................................................125
სამი იოანე ..............................................................126
ჰიმალაიში...............................................................127
***(პოეზიის მაცილებს) ....................................128
***(ჯოჯოხეთი არის ყველგან)........................129
ცოდნა ეზოთერული.............................................130
***(ვითარც ცხადს და ვითარც
სიზმარს) .................................................................131
ჰერკულესის თასი ...............................................132
***(ნათლის ბილიკებით მიმავალნი) .........133
***(წუხილის ქვაზე მოულოდნელად).......134
***(ტიგროსი და ევფრატი)..............................135

***(მაღალი დღისგან მიტოვებული)...........136
ოცდაათი წელია.........................................................137
***(სიცოცხლე და სიკვდილი).........................138
მთათა კიბეებს მიჰყვება ზევით.....................139
გბუგავს სიტყვის სახმილი ..............................140
მიწისა და ცის ფრთები ....................................141
***(მწუხრის ანგელოზებმა)............................142
ამბობს ლუკა ...................................................143
ანატოლიაში ...................................................144
ერთი ვარსკვლავი ...........................................145
***(აღარ გაძინებს გლოვის ხმა).................146
***(სადღაც...) ...................................................147
ნენანა ..............................................................148
***(მწუხრისას)...............................................149
ხედავს სული..................................................150
***(უფლის გამოცხადება)................................151
***(ვარსკვლავების ნაკვერჩხლების)..........152
***(ვარსკვლავების ასოებით).........................153
***(უწესრიგოდ მიმოყრილი)...........................154
სიკვდილია შუამავალი .......................................155

ორი დავითი....................156
ხილვა: ქრისტეს ჯვარცმა....................157
***(შენი მოსვლა სამყაროს)....................158
***(ჩვენ რომ მივალთ)....................159
***(ვამბობ მათ გასაგონად)....................160
გიგანტომახია....................161
***(პონტოს სანაპიროზე)....................162
***(ჯვარცმულ სამყაროს კვნესა)....................163
***(გზა შორია მექამდე)....................164
***(ჯვარზე აცვეს მზის ქვეყანა)....................165
ხილვა: რეა კიბელა....................166
***(ზოგ-ზოგები ძველებურად)....................167
ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი....................168
ველი, ვითარც ფარნავაზი....................169
სულიწმინდის ქნარი....................170
*** (ვიღაც სივრცეს ხნავს)....................171
ხილვა: ჯვარზე გაკრული ქრისტე....................172
კვერცხი-სამყარო....................173
ია-ცაა და დედამიწა-ვარდი....................174
***(ოქროს მთიებით შემოსარული)....................175

ხილვა: „ათი ქალწული“)....................................176
***(სულ სხვა არის კოლხეთი).......................177
***(ულაჟვარდეს ცის ტბაში)..........................178
ზოგ-ზოგ მედროვეებს..........................................179
რაფაელი, დავინჩი... და მიქელანჯელო..180
***(ცაში გადამალული)......................................181
***(ხელთ გიპყრია სიცოცხლე).....................182
***(ვით სასახლე მზის და ორბის).............183
ქართულ სიტყვის ქვისგან აგებ...................184
***(თუკი მოხველ სიცოცხლედ)...................185
ქართული სული.......................................................186
ჰერკულესი...............................................................187
***(არული ეშმას და ბელზებელს)............188
***(გვიან თუ ადრე)..............................................189
***(ღამის ჩოხას რომ იკრავდა)....................190
***(ეშმაკი და დემონი).........................................191
ქრისტე-2000..............................................................192
***(ერთხელ პარას ჭალაში)............................193
***(თავს კლდეებს უხათქუნებენ)................194
***(ერთი ფასი აქვს)...............................................195

აბიდოსის და მარტვილის..................................196
***(აბრეშუმის პარკივით)..................................197
„აღდგომა“..................................................................198
***(ზღვაში პრეისტორიის)................................199
***(მთას პირში უდევს აღვირად)...............200
***(ცხრა თავიანი დევები)...............................201
***(ერთიან ამოგიხოცავ)..................................202
ორი ხმა.......................................................................203
***(დავიწყებიდან გადმოფრენილი)...........204
ტაშისკარს, მარტყოფს და მარაბდას.......205
გათენება.....................................................................206
***(ბიბლიიდან თუ სინას მთიდან)............207
ხილვა: მედეას დაბრუნება...............................208
***(იგავების მოგდევს ჯარი)..........................209
***(ვზივართ ორნი პონტოს პირას)...........210
ხილვა: ბედიის ტაძარი......................................211
***(ღრუბლებს მტვერი ადინა).....................212
ხევსურეთში...............................................................213
მსაჯულებს და რჯულისკაცებს..................214
ხილვა: „სიცოცხლის ხე“..................................215

ისე, როგორც კადმოსმა......................................216
***(ნისლით გაცრეცილ სანაპიროზე)......217
ქაშაგებს და ბუადუღებს....................................218
***(ვარსკვლავთა ჯოგებს ბღაოდა)...........219
უნდა აღავლინო ლოცვა....................................220
ჩემი ციხე-ტაძარი..................................................221
***(შენ ვაზს გავხარ დახუნძლულს)........222
სული და ხორცი......................................................223
შურის სანთლები....................................................224
***(გაჰქრება თვალ-მარგალიტი)..................225
***(ყურს თუ მიუგდებ).......................................226
პოეზია......................................................................227
***(სადღაც ღრუბელი ჩანდა).........................228
მარგალიტებში ვეძებ მარგალიტს..............229
***(ფრთებს საფრენად როცა გაშლი).....230
***(ცამდე ამაღლებული)...................................231
***(ლეგენდებით დახუნძლული)..................232
***(კოლხეთი რომ სამყაროს).........................233
***(ჭეშმარიტების და სიბრძნის)...................234
***(რადგანაც მითვალთვალებს)...................235

***(სიცოცხლის გზით და ბილიკით)........236
ბევრჯერ ჩამოკრეს შურის ზარს................237
შაჰ აბას I ლაშქრობა კახეთში-1616.........238
***(უკეთურთა თვალები)..................................239
***(შოორეული წარღვნიდან)..........................240
***(თვალებს უხელ ბრმებს და...)................241
***(ვით ბრძანებდა ბრძენი დავით)............242
***(ჩავცქერი არაგვის სარკეს და...)...........243
მზე აღმოხდა ტიბიას..........................................244
***(ბედისწერა თანა გდევს)...........................245
***(ამქვეყნად ავსულთა სიავეს)..................246
***(ცბიერ ათასწლეულთა)...........................247
ტრანწყალის ციხე...................................................248
***(დასტურს დასცემდნენ მტკვარი,
არაგვი)...................................................................249
ემზადები სადიდგოროდ....................................250
***(უფალო)...........................................................251
***(მისი კვირტი ცაში მჭვრეტი)..................252
***(არ ჩანს იგი).......................................................253
კვირიას და კოპალეს...........................................254

# მადლობა

„ქართული მწერლობის" 100-ტომეულის ავტორს, ქართული ენის რაინდს, ქართული კულტურის დარაჯს, საქართველოს [illegible] [illegible], აკადემიკოს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] გამოცემული „[illegible]" ლიტერატურის, 3-ე ტომის [illegible] და მის ყველა თანამშრომელს, მათ შორის [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] 4-ე ტომის [illegible], [illegible] 100-ტომეულის გამოცემაში გაწეული ფინანსური თანადგომისათვის.

[illegible]

2020 წ.

ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

**100 ტომად**
**ტომი 24**

**VAZHA EGRISELI**
**"KOLKHURI PHSALMUNEBI"**
**ONE HUNDRED VOLUME**
**VOLUM 24**

გამომცემლობის
რედაქტორი – **სოფო ცინცაძე**
მხატვარი – **სპარტაკ ცინცაძე**
მხატვრული რედაქტორი – **ირაკლი უშვერიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ნანა დუმბაძე**
კორექტორი – **ეკა თანდილაშვილი**
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – **ნანა და დათო ყანდაშვილები**

გამომცემელი – **ზურაბ დოლბაია**

**ფასი 20 ლარი**

**თბილისი**
**2020**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com